

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
არქეოლოგიური კომისია
АРХЕОЛОГИЧЕСКАЯ КОМИССИЯ
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
ЦЕНТР АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЙ
ИНСТИТУТА ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И
ЭТНОГРАФИИ ИМ. И. А. ДЖАВХИШВИЛИ



**АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ
ГРМАХЕВИСТАВИ**

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1980

ღრმასვევისთავის არქეოლოგიური ქვლეები

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1980

ნაშრომი წარმოადგენს დმანისის რაიონში აღვილ
ღრმახევისთავეზე გათხრილ ენეოლით-ადრებრინჯოსა და
გვიანბრინჯაო-ადრეანტიკური ხანის ნასახლარებზე და
სამაროვნებზე მოპოვებული ძეგლების პუბლიკაციას
ფართოდ ილუსტრირებული კატალოგის სახით. ნაშ-
რომს წინ უძღვის გამოვლენილი ძეგლების დათარიღე-
ბა და მოკლე დახასიათება.

რედაქტორი რ. მ. აბრამიშვილი
Редактор Р. М. Абрамишвили

წინასიტყვაობა

1973 წელს ღმანისის რაიონში მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის დროს აღმოჩნდა რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხები. აღმოჩენის ადგილი მაშინვე ინახულა და მოპოვებულ მასალას სათანადო დოკუმენტაცია შეუდგინა ღმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა ვახტანგ ჯაფარიძემ.

ღმანისის მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიაზე შექმნილი ვითარების შესახებ ვახტანგ ჯაფარიძემ აცნობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიის განყოფილებას. განყოფილებამ აღმოჩენის ადგილზე მიავლინა უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლეილა წითლანაძე. მის მიერ მოწოდებული ცნობების საფუძველზე საქართველოს არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარემ აკად. ირ. აბაშიძემ გაგზავნა წერილი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში. წერილში აღნიშნული იყო არსებული ვითარება და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე მოთხოვნილი იყო თანხა ღმანისის რაიონის საკომუნალური მომსახურების მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიაზე მშენებლობის გაგრძელებამდე არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად. აღმოჩენის ადგილზე 1974 წლის 25/VI მივლინებულ იქნა ინსტიტუტის სავლე არქეოლოგიური კომისია გიორგი ცქიტიშვილის, დავით მუსხელიშვილის, ნიკოლოზ თუთიშვილისა და როსტომ აბრამიშვილის შემადგენლობით. ადგილზე ჩასვლის შედეგად გაირკვა, რომ მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიაზე უახლოეს ხანში კიდევ უნდა ჩატარებულიყო დიდი მოცულობის მიწის სამუშაოები, რომელიც აქ არსებულ არქეოლოგიურ ძეგლს დანგრევა-განადგურებას უქმნიდა. აღნიშნულის გამო საჭირო გახდა დაუყოვნებლივ შექმნილიყო არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც გათხრებს ჩაატარებდა იმ ადგილებში, სადაც მშენებლების მიერ გათვალისწინებული იყო მიწის სამუშაოები. იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დროზე ვერ გამოყო თანხა, საჭირო გახდა ინსტიტუტს გამოეძებნა სათანადო სახსრები. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განყოფილებაში საბიუჯეტო თანხა ჰქონდა მხოლოდ დიდი თბილისის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელიც შედარებით მრავალრიცხოვანი თანამშრომლებითაც იყო დაკომპლექტებული. ეს უკანასკნელი გარემოება კი აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლის მოკლე ვადაში გასათხრელად. ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩასატარებლად დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის მივლინება.

ექსპედიციამ ველზე დაყო 4 ივლისიდან 4 ნოემბრამდე შემდეგი შემად-

გენლობით: რ. აბრამიშვილი (ხელმძღვანელი), სპ. წიქარიძე (ხელმძღვანელის მოადგილე სამეურნეო დარგში), კ. კახიანი (რაზმის უფროსი), ნ. გიგუაშვილი, გ. მანჯგალაძე, ეს. მიჩაბელი (უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები), დ. გოცი-რიძე, ნ. აბრამიშვილი, ლ. აპრესოვი, მ. დათაშვილი, მ. პეტაშვილი, ლ. ფირ-ცხალავა, ვ. საღრაძე, ი. სულთანშვილი (უფროსი ლაბორანტები), ლ. ანტენი, თ. კვალიაშვილი, ი. გვალია (მხატვარ-არქიტექტორები), მ. კოზლოვსკი (ფოტოგრაფი), გ. მამადაშვილი, ზ. წიკლაური (ავტომანქანის მძღოლები).

აღნიშნული დროის განმავლობაში ექსპედიციამ გათხარა მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ნასახლარის ნაშთები, ამავე პერიოდის 100 ორმო და 4 სამარხი, ადრერკინის ხანის 8 ნაგებობა და გვიანბრინჯაო-ადრეანტიკური ხანის 99 სამარხი.

დმანისის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრი-კა, რომლის ტერიტორიაზეც ჩვენთვის საინტერესო არქეოლოგიური ძეგლებია განლაგებული, მდებარეობს სოფ. ვარდისუბნის დასავლეთით, მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე არსებულ პლატოზე. დასავლეთის მხრიდან საამშენებლო ტერიტორიას საზღვრავს მდ. ბოსლევისხევის ღრმა ხეობა. მაღალ პლატოზე განლაგებულ ამ კონცხისებურ ტერიტორიას ადგილობრივი მოსახლეობა ღრმა-ხევისთავს უწოდებს. აღნიშნულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა მრავალფენოვანი არქეოლოგიური ძეგლი, რომელსაც უჭირავს საამშენებლო ტერიტორიის მთე-ლი ფართობი (6,5 ჰა) და მის ფარგლებს გარეთაც ვადის. ექსპედიციამ აქ გამოავლინა მტკვარ-არაქსის კულტურისა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასოფლარები და სამაროვნები და ადრეანტიკური ხანის სამარხები.

მიუხედავად იმისა, რომ ესოდენ მრავალრიცხოვანი ძეგლები იქნა გამოე-ლენილი, 1974 წელს შესწავლილი ძეგლების გათხრა ვერ დამთავრდა, რადგან მშენებლობა წარმოებდა საკმაოდ დიდ ფართობზე, რომელიც თითქმის მთლი-ანად დაფარული იყო არქეოლოგიური ძეგლებით. აღნიშნულის გამო ამ ტე-რიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩასატარებლად 1975—76 წლებ-ში მივლინებული იყო ექსპედიცია გურამ მირცხულავას ხელმძღვანელობით.

წინამდებარე ნაშრომში ქვეყნდება 1974 წლის ექსპედიციის მიერ მოპო-ვებული მთელი მასალა და 1975—76 წლების ექსპედიციების მიერ გათხრილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები—26 ცალი.

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების აღწერილობა-დახასიათება შეს-რულებულია ნელი გიგუაშვილის მიერ, ხოლო გვიანბრინჯაო-ადრეანტიკური ხანის ძეგლებისა — კახა კახიანის მიერ.

ღრმასხვევისთავის არქეოლოგიური ძეგლები

ადგილი ღრმასხვევისთავი მდებარეობს დმანისის რაიონში, სოფ. ვარდისუბნის დასავლეთით, მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე არსებულ კონცხისებურად გაშვერილ მაღალ პლატოზე, რომელსაც დასავლეთის მხრიდან საზღვრავს მდ. ბოსლევისხევის ღრმა ხეობა. აღნიშნულ ადგილზე მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობისას აღმოჩნდა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი, რომელსაც უჭირავს ფაბრიკისათვის გამოყოფილი ტერიტორიის მთელი ფართობი (6,5 ჰა) და მის ფარგლებს გარეთაც ვადის (ნახ. 1). ჩატარებული კვლევები შედეგად აქ გამოვლინდა ენეოლით-ადრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასოფლარები და სამაროვნები და აქემენიდური პერიოდის სამარხები.

მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ნასახლარის ნაშთები გათხრილი იქნა აღნიშნული ფაბრიკის ჩრდილოეთითაც. სავარაუდოა, რომ ამ ხანის ნასახლარი ვრცელდებოდა მეფრინველეობის ფაბრიკის აღმოსავლეთით და დასავლეთითაც. ამ ვარაუდის გამოტანის საშუალებას იძლევა ის გარემოება, რომ მეფრინველეობის ფაბრიკის უკიდურეს დასავლეთითა და აღმოსავლეთით გაკლებულ თხრილში აღმოჩნდა ამ ხანის კულტურული ფენების ნაშთები. გათხრილ ფართობზე მტკვარ-არაქსის ნასახლარი ძლიერ იყო დაზიანებული უფრო გვიანი პერიოდის ძეგლებისაგან და ნაწილობრივ მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლების მიერ, რის გამოც შეუძლებელი გახდა ცალკეული ნაგებობის კონტურების დადგენა. მათგან მოაღწია მხოლოდ თიხატყეპნილი იატაკის, კერების, ხელსაფეკვაების, სანაყების, კერამიკისა და ცხოველთა ძვლების ფრაგმენტებმა. იყო რამდენიმე შემთხვევა ბათქაშის აღმოჩენისა, რომელშიც შემორჩენილია მცენარეული მინარევების კვალი¹. აქვეა აღმოჩენილი რქისებურშვერილიანი საღდარების ფრაგმენტები და ობსიდიანის ანატეცები².

მშენებლების მიერ საკმაოდ იყო დაზიანებული ამავე პერიოდის სამეურნეო ორმოებიც. თითქმის ყველა მათგანის ზედა ნაწილი ბუღლოზერით იყო დანგრეული, რამდენიმე შემთხვევაში კი მოხერხდა მათი ფორმისა და ზომის დადგენა. ორმოების ნაწილს ჰქონდა ცილინდრისებური, ხოლო ნაწილს—ხაზოსებური (ზემოთ შევიწროვებული თალის) მოყვანილობა. ორ შემთხვევაში ორმოები ქვედა ნაწილში შეერთებული იყო ერთმანეთთან ხვრელებით³. შედარებით კარგად დაცული ორმოების მიხედვით გაირკვა, რომ მათი სიღრმე 2,5 მ,

¹ კულტურული ფენების ნაშთები — III (503), XI (558) და XIV (591).

² კულტურული ფენების ნაშთები №№ III (501), V (518), VI (531), XII (579), XIII (590).

³ ორმოები №№ 52, 53.

ხოლო დიამეტრი ქვედა ნაწილში 4 მ-მდე⁴ აღწევდა. ორ ორმოს შემორჩენილი ჰქონდა წრიული ქვაყრილი⁵. 100 ორმოდან 12 ცარიელი იყო. დანარჩენებში კი მოპოვებული იქნა ძირითადად თიხის ჭურჭლის ნატეხები (რომელთა უმეტესობას ეტყობოდა ცეცხლში მეორედ მოხვედრის კვალი), ბათქაშის ფრაგმენტები ძელებისა და წნელების კვალით⁶, კერამიკული სადგარები ხარის თავის სქემატური გამოსახულებით⁷ და მრგვალი სადგარების ფრაგმენტები⁸, ობსიდიანისა⁹ და კაჟის იარაღი¹⁰, ობსიდიანის ქუსლამოლარული ისრისპირი¹¹, ირმის რქა¹², კაჟის ნამგლის ჩასართი¹³ და რიყის ქვები, რომლებიც გამოყენებული იყო ხელსაფქვავებად და სანაყებად¹⁴. გარდა ამისა თითქმის ყველა ორმოში და კულტურულ ფენაში მრავლად იყო ობსიდიანის უსახო ნატეხები. ორმოების უმეტესობაში დიდი რაოდენობით იყო აღმოჩენილი ცხოველთა ძვლები, რომელთა განსაზღვრის შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული ძვლოვანი მასალა წარმოადგენდა შინაური ცხოველების — ძროხის, ხარის, ცხვიის, ღორის, ძაღლისა და გარეული ცხოველების — ირმისა და კეთილშობილი ირმის ძვლებს¹⁵.

ღრმახევისთავის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ორმოების სტრატოგრაფიული მონაცემების საფუძველზე დაჭგუფება ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ მათი უმეტესობა ძლიერ იყო დაზიანებული. აღნიშნულ ტერიტორიაზე გაითხარა ერთმანეთზე განლაგებული ორმოების ორი ჯგუფი: I ჯგუფი — №№ 65—69 ორმოები და II ჯგუფი — №№ 54, 55, 56 ორმოები. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ამ ჯგუფში გაერთიანებულ ორმოებს შორის სავარაუდოა ქრონოლოგიური სხვაობა (ამოთხრის დროს ორმოებს ერთმანეთი დაუზიანებიათ), მასალის მიხედვით ისინი სინქრონული ჩანს.

კვლევის დღევანდელ საფეხურზე ღრმახევისთავეზე გათხრილი მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ორმოებიდან აშკარად გამოიყოფა ორი ქრონოლოგიური ჯგუფი.

ადრეულ ჯგუფს მიეკუთვნება №№ 15, 29, 47 და 76 ორმოები. მათთვის დამახასიათებელია მცენარეულჩანართებიანი თიხის ჭურჭელი¹⁶ და მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი კერამიკა¹⁷. აღნიშნულ ორმოებში აღმოჩენილ მცენარეულჩანართებიან კერამიკას

⁴ ორმო № 51.

⁵ ორმოები №№ 51, 76.

⁶ ორმოები №№ 6(49), 13(91), 21(158), 23(160), 47(209), 71(365), 73(382).

⁷ ორმოები №№ 47(207), 73(380), 76(397).

⁸ ორმო № 67(346—350).

⁹ ორმოები №№ 6(52), 68, 69(360), 74(388), 77(405, 406).

¹⁰ ორმო № 80(417).

¹¹ ორმო № 6(51).

¹² ორმო № 14(104).

¹³ ორმო № 90(474).

¹⁴ ორმოები №№ 6(50), 13(92), 71(363), 73(384), 76(400).

¹⁵ ღრმახევისთავის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვლოვანი მასალა განსაზღვრა ო. ბენდუ-

ქიძემ.

¹⁶ ორმოები №№ 15(105—109), 29(178), 47(202-205), 76(398).

¹⁷ ორმოები №№ 15(110-120), 29(179, 180), 47(197-201), 76(389-397).

ახასიათებს ღია ჩალისფერი ზედაპირი, შიდაპირი და ასეთივე ფერის სქელი კეცი. ჭურჭელი ცულადაა გამოშვარი და ადვილად იშლება. მცენარეულ ჩანარებთან ერთად კეციში შეიმჩნევა სხვა მინარევებიც — სილა, ხეინჯკა, ობსიდიანი. როგორც წესი, ზედაპირი ანგობირებულია (გამონაკლისია ორმო № 29-ის ჭურჭელი № 178). მათი უმეტესობა დიდი ზომისაა და აქვს ცილინდრული ფორმა. არც ერთი მათგანის მთლიანად აღდგენა ვერ მოხერხდა. კარგადაა შენახული მხოლოდ ჭურჭლის ზედა ნაწილი. აღნიშნული კერამიკიდან ცალკე გამოვყავით ერთი დიდი ზომის ჭურჭელი (ნახ. 19 178), რომლის კეცის სისქე 2,5 სმ-ს უახლოვდება. გამოშვარია მოჩალისფროდ, აქვს გადაშლილი ბაკომომრგვალებული პირი, დაბალი ყელი და მომრგვალებული მუცელი¹⁸. ჭურჭელი ახლო მსგავსებას პოულობს მულანის ველზე აღმოჩენილ ენეოლითური ხანის კერამიკასთან¹⁹. ამავე ორმოშია აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელიც დამზადებულია სილანარევი და მსხვილკენწარევი თიხისაგან და გამოშვარია მორუხო-მოყავისფროდ²⁰. მსხვილკენწარევი, მორუხო-მოყავისფროდ გამოშვარ კერამიკის ჭურჭლის ერთ ნატეხს (ნახ. 19 178) ზედაპირზე შემორჩენილი აქვს კობისებური შვერილი²¹. მსგავსი შვერილი დამახასიათებელია ენეოლითური ხანის კერამიკისათვის, რომელიც აღმოჩენილია მულანის ველზე²², წოფში²³ და დელისის ნასახლარზე²⁴.

აღსანიშნავია № 15 ორმოში აღმოჩენილი დიდი ზომის თიხის ჭურჭელი (ნახ. 11 105)²⁵. იგი გამოშვარია მოჩალისფროდ. გადანატეხს შუაში გასდევს თხელი ნაცრისფერი ფენა. ზედაპირი დაფარულია თხელი ღია ფერის ანგობით. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, მაღალი ყელი და მრგვალი მუცელი. კეცის სისქე 3—4 სმ-ს შორის მერყეობს. მსგავსი ტექნიკითაა დამზადებული სხვა დანარჩენი მცენარეულჩანარებთან თიხის ჭურჭელიც, იმ განსხვავებით, რომ მათ ცილინდრული ფორმა აქვს²⁶. აღნიშნული ტიპის მცენარეულჩანარებთან კერამიკა სქელი კეცითა და ღია ფერის ანგობით დამახასიათებელია თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ადრეული პერიოდის ორმოებისათვის²⁷ და მულანის ველის ენეოლითური ძეგლებისათვის²⁸.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადრეული ჯგუფის ორმოებში მცენარეულჩანარებთან ე. წ. ბუნარევი კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი.

¹⁸ ორმო № 29 (178).

¹⁹ И. Г. Нариманов, Ф. Р. Махмудов. Энеолитические памятники на Мугани, Известия академии наук Азерб. ССР, серия истории, философии и права Баку, 1974 г., с. 90, 91.

²⁰ ორმო № 29 (180).

²¹ ორმო № 29 (179).

²² დასახ. ნაშრ., გვ. 95, 96.

²³ Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Трналетн. Тб., 1941, с. 32.

²⁴ რ. აბრამიშვილი, დელისის ნასახლარი, თბლისი 1, თბ., 1978, გვ. 31, 32. ნახ. 6.

²⁵ ორმო № 15 (105).

²⁶ ორმოები № 15 (106—108), 47 (202-205), 76.

²⁷ რ. აბრამიშვილი, დ. გოცირიძე, თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარი, თბლისი 1, თბ., 1978 წ. ნახ.: 7, 8, 12.

²⁸ И. Г. Нариманов, Ф. Р. Махмудов, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 1.

აღნიშნულ კერამიკას ახასიათებს ლევა-მორუხო ან მორუხო-მოყავისფრო მოკლუვებული ზედაპირი, შიდაპირი და ასეთივე ფერის მქისე კეცი. კეციში შეიმჩნევა ქარსისა და კვარცის მინარევეები. ხშირ შემთხვევაში ურეგია სილაცი. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ განხილულ კერამიკას არ ახასიათებს ფორმათა მრავალფეროვნება, მათში შეიძლება რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა, რომელთა დახასიათებას ვიძლევიტ ქვემოთ.

ო რ ყ უ რ ა ქ ო თ ა ნ ი — აღმოჩნდა 4 ცალი²⁹ (ნახ 11₁₁₀, 23₁₉₇, 41₃₈₉, 392). მათ ახასიათებთ ოდნავ გადაშლილი ფართო პირი, მაღალი ცილინდრული ყელი, სფეროსებური ფართო მუცელი, ძირისკენ თანდათანობით შევიწროვებული ტანი და ბრტყელი ძირი. ყელისა და მხრის შეერთებასთან დაქრწილია ორ-ორი ყური. ერთ ჭურჭელს შემორჩენილი აქვს ქსოვილის ანაბეჭდი³⁰. აღნიშნული ტიპის ჭურჭელი აღმოჩენილია სხვა ორმოებშიც, რომელთაგან ორს შემორჩენილი აქვს ქსოვილის ანაბეჭდი³¹.

მსგავსი ფორმის ორყურა ქოთნები გვხვდება თრელიგორებზე³², დიდუბეში³³, კიკეთში³⁴, სამშვილდეში³⁵, ხიზანანთ გორის E ღონეზე³⁶ და ლუგოვოს ნაშოსახლარზე ფრაგმენტების სახით³⁷.

ც ა ლ ყ უ რ ა ქ ო თ ა ნ ი — ადრეული ჯგუფის ორმოებში აღმოჩნდა ორი ცალი³⁸. ერთ მათგანს (ნახ. 41₃₉₀)³⁹ აქვს ლევა-მოყავისფრო მოკლუვებული ზედაპირი, შიდაპირი და ასეთივე ფერის მქისე კეცი, მაღალი ცილინდრული ყელი, კვერცხისებური მუცელი, ბრტყელი ძირი და მხრისა და ყელის შეერთების ადგილზე დაქრწილი ყური.

მსგავსი ქოთნები გვხვდება: თრელიგორებზე⁴⁰, დიდუბეში⁴¹, კიკეთში⁴², ქეცხელების C ფენაში⁴³ და ამირანის გორაზე ადრეული ხანის სამარხში (ეს უკანასკნელი შემკულია ამოკაწრული ორნამენტით)⁴⁴. ანალოგიური ქოთნები ნაპოვნია გარნისში, არმავირ-ბლურში და არავაციში⁴⁵.

მეორე ქოთანი პირველთან შედარებით პატარა ზომისაა (ნახ. 41₃₉₁), გამოწვეარია მორუხო-მოყავისფროდ და მხარი შემკული აქვს ამოლარვის ტექნი-

²⁹ ორმოები №№ 15 (110), 47 (197), 76 (389, 392).

³⁰ ორმო № 15 (110).

³¹ ორმოები №№ 26 (168), 53 (245).

³² რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დ. გ ო ც ი რ ი ძ ე, თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარი, თბილისი, 1, 1978 წ., გვ. 38, 39, ნახ. 7₃₃₋₃₃, 8₇₃₋₇₇.

³³ დ. ქ ო რ ი ძ ე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები 1, თბ., 1955 წ. ტაბ. 1₃₃-IV

³⁴ გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963, გვ. 87, 88, ტაბ. III ვ, XII₉.

³⁵ გ. მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა, საშვილდე, თბ., 1975 წ., გვ. 53, ტაბ. XVI ვ.

³⁶ ი. კ ი კ ე ი ძ ე, ხიზანანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972, ტაბ. XXIII₉.

³⁷ P. M. მ უ ნ ჩ ა ე ვ, Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, МИА-100 М., 1961, табл. XIV_{1,2}

³⁸ ორმო № 76 (390, 391).

³⁹ ორმო № 76 (390).

⁴⁰ რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დ. გ ო ც ი რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 39, ნახ. 7₃₉, 40, 8₇₃₋₈₁.

⁴¹ დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ. 1₄, გ.

⁴² გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 82, 83, ტაბ. IV ვ, XII₄, XIIII₉.

⁴³ აღ. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ლ ლ ო ნ ტ ი, ურბნისი 1, თბ., 1962, ტაბ. IV.

⁴⁴ ტ. ხ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 72, ტაბ. V.

⁴⁵ გ. მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 51, 52.

კით შესრულებული გეომეტრიული სახეებით. მსგავსი ჰურჭელი აღმოჩენილია ხიზანაანთ გორის E ფენაში და სამშვილდეში⁴⁶.

ტ ა ფ ის ე ბ უ რ ი ჰ უ რ ჭ ე ლ ი — ადრეული ჯგუფის ორმოებში აღმოჩნდა 1 ცალი⁴⁷. მისი სრული სახით აღდგენა ვერ მოხერხდა (ნახ. 41₃₉₅). გამომწვარია მორუხო-მოყავისფროდ, აქვს სწორი, ერთ მხარეს შიგნით შეწეული საშუალო ზომის გვერდი და ბრტყელი ძირი. ზედაპირი და გარეპირი მოგლუვებული აქვს, ძირის ქვედა ნაწილი უხეშადაა დამუშავებული. აღნიშნულ ჰურჭელს ზუსტი ანალოგები არ ეძებნება. მსგავსი თიხის ჰურჭელი ფრაგმენტების სახით აღმოჩენილია ღრმავისთავის სხვა დანარჩენ ორმოებში და კულტურული ფენის ნაშთებში⁴⁸. ტაფისებური ჰურჭელი ცნობილია მულანის ველის ენეოლითური ძეგლებიდან (ილანლი—თეფეზე⁴⁹). გარდა ამისა ტაფისებური ჰურჭელი აღმოჩენილია ამირანის გორაზე ადრეული ხანის სამარხებში⁵⁰.

დ ის კ ო ს ფ ო რ მ ის ს ა რ ჭ ე ე ლ ი — ადრეული ჯგუფის ორმოებში აღმოჩნდა 1 ცალი⁵¹. აღნიშნული სარქველი საშუალო ზომისაა (ნახ. 11₁₂₀), გამომწვარია ლეგამოშავოდ, აქვს მოგლუვებული ზედაპირი, ქვედაპირი და შუაში დაძვრწილი ოვალურგანიკვეთიანი ყური. მსგავსი ფორმის სარქველი აღმოჩენილია ადრეული ჯგუფის მომდევნო პერიოდის ერთ ორმოში⁵². გარდა ამისა მრავლადაა წარმოდგენილი ორმოებში და კულტურული ფენების ნაშთებზე ფრაგმენტების სახით⁵³. განხილულ ყურიან სარქველებს ანალოგები ეძებნება: თრელიგორებზე⁵⁴, დიღუბეში⁵⁵, კიკეთში⁵⁶, ამირანის გორაზე⁵⁷, ლაიათ-მაშში და დანგრეულ გორაზე⁵⁸.

ფ ი ა ლ ა — ადრეული ჯგუფის ორმოებში აღმოჩნდა 1 ცალი⁵⁹. აღნიშნული ჰურჭელი ძლიერ პატარა ზომისაა, გამომწვარია მორუხო-მოყავისფროდ, აქვს მოგლუვებული ზედაპირი და გარეპირი, ვედაშლილი პირი, მომრგვალებული კალთა და ქუსლამოდარული ძირი. ზედაპირი დაფარული აქვს ამოკაწრული გეომეტრიული სახეებით (ნახ. 11₁₁).

ზემოთ განხილული კერამიკის გარდა ადრეული ჯგუფის ორმოებში აღმოჩნდა მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი რ ქ ი ს ე ბ უ რ შ ე ე რ ი ლ ი ა ნ ი

⁴⁶ დასახ. ნაშრომი, გვ. 20, ტაბ. IV ვ.

⁴⁷ ორმო №76 (395).

⁴⁸ ორმოები №№ 53 (246, 247), 21 (153), კულტ. ფენა 1 (477).

⁴⁹ თ. კ ი ლ უ რ ა ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს ადრესაიწიფოპოქემდო კულტურის პერიოდისა, თბ., 1976, გვ. 97.

⁵⁰ ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 78, სურ. 4₂₀, 6₁, 4₁, 7.

⁵¹ ორმო № 15 (120).

⁵² ორმო № 73 (378).

⁵³ ორმოები №№ 16 (124), 21 (155), 53 (269-271), 64(334), 65, 66, 67 (341), 68, 69 (358); კულტ. ფენის ნაშთები: III (502), IV (510), VIII (534), IX (540), XII (577).

⁵⁴ რ. ა ბ რ ა მ ი შ ე ი ლ ი, დ. გ ო ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ნახ. 11 ჯგ.

⁵⁵ დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

⁵⁶ გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 37, ტაბ V ვ.

⁵⁷ ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 78-80, სურ. 4₂₁, 7₂.

⁵⁸ თთ. ქ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, სურ. 47 ჯგ, 48₁₄.

⁵⁹ ორმო № 15 (111).

ს ა დ გ ა რ ე ბ ი (ნახ. 23²⁰⁰⁷, 413⁹⁷)⁶⁰. მსგავსი სადგარის ფრაგმენტები აღმოჩენილია სხვა დანარჩენ ორმოებში და კულტურული ფენის ნაშთებში⁶¹. აღნიშნულ რქისებურშვერილიან სადგარებს ანალოგები ეძებნება თრელიგორებზე⁶², დიდუბეში⁶³, ხიზანანთ გორის E ფენაში⁶⁴, ზემო ავქალაში⁶⁵, ქულბაქეზე⁶⁶, ქიულ-თეფეს II ფენაში⁶⁷ და ლუგოვოს ნამოსახლარზე⁶⁸.

ღრმახევისთავის ადრეული ჯგუფის კერამიკასთან განსაკუთრებით დიდ მსგავსებას პოულობს თბილისში, თრელის ნამოსახლარზე გათხრილი ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მასალა. ორივე ძეგლზე მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელ კერამიკასთან ერთად აღმოჩენილია ბზენარევი ჭურჭელი, მაგრამ მათ შორის არსებობს გარკვეული სხვაობაც. თრელის ნასახლარზე მცენარეულჩანართებიანი კერამიკა ძირითადად წარმოადგენილია ცილინდრისებური წელშვევიწროებული⁶⁹ და დაბალი პირგადაშლილი ბრტყელიძირა ჭურჭლით⁷⁰, ღრმახევისთავზე კი სხვა ფორმის ჭურჭელიც გვხვდება.

საერთოდ მცენარეულჩანართებიანი ჭურჭელი დამახასიათებელია ენეოლითის ხანისათვის და მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე ამას არ ვხვდებით. ამ მხრივ თრელის (№№ 1, 2, 3, 5, 6) და ღრმახევისთავის ადრეული ჯგუფის ორმოები გამოიწვევს წარმოადგენს⁷¹. მსგავსი სურათია თეთრიწყაროს ნასოფლარის A ფენაზე, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელ კერამიკასთან ერთად გვხვდება ბზენარევი კერამიკა⁷². თრელის ზემოაღნიშნული კერამიკა უახლოესს პარალელებს მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ჯგუფის ძეგლებთან პოულობს⁷³.

ჩვენი აზრით, თრელის ნასახლარის ქვედა ფენების მასალა ქრონოლოგიურად წინ უნდა უსწრებდეს მტკვარ-არაქსის კულტურის დღემდე ცნობილ ყველა ძეგლს, რის დამამტკიცებლადაც მიგვაჩინა თრელის ნასახლარზე მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ჯგუფის კერამიკასთან ერთად ბზენარევი თიხის ჭურჭლის აღმოჩენა. თრელის ნასახლარის ქვედა ფენები IV ათასწლეულის შუა ხანებით უნდა დათარიღდეს⁷⁴ და ღრმახევისთავის მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ქრონოლოგიური ჯგუფის ორმოებიც მისი სინქრონული

⁶⁰ ორმოები №№ 47 (207), 76 (397).

⁶¹ ორმოები №№ 73 (380), კულტ. ფენის ნაშთები: III (501), V (518), VI (531), XII (579), XIII (590).

⁶² რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, გ. გ ო ც ი რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 41, სურ. 7⁶⁶.

⁶³ დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ.

⁶⁴ ი. კ ი ე ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXVIII⁶.

⁶⁵ გ. ფ ხ ა კ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., სურ. 114.

⁶⁶ თ. ჭ ა თ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, სურ. 4⁴.

⁶⁷ P. M. M y n a e v. Кавказ на заре бронзового века, М., 1975, рис. 214.

⁶⁸ იქვე, ტაბ. XIX²¹⁴.

⁶⁹ რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დ. გ ო ც ი რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 42, ნახ. 7⁶⁷.

⁷⁰ იქვე, გვ. 42, ნახ. 12⁶⁸¹.

⁷¹ იქვე, გვ. 42.

⁷² გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, თეთრი წყაროს ნასოფლარი, თბ., 1978, გვ. 55-82.

⁷³ რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დ. გ ო ც ი რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

⁷⁴ იქვე, გვ. 44.

უნდა იყოს⁷⁵. გარდა აღნიშნულისა, ღრმახევისთავის ადრეული ჯგუფის ორ-
მოების ბუნარევი კერამიკა მსგავსებას პოულობს მულანის ველის მცენარეულ-
ჩანარტებიან ქურქელთანაც, რომელიც ენეოლითის ხანას განეკუთვნება. რო-
გორც ზემოთ აღინიშნა, ღრმახევისთავის ერთ-ერთ ორმოში მოპოვებული
შვერილიანი კერამიკაც აღნიშნულ ძეგლს შულავერ-შომუთეფეს კულტურის
ძეგლებთან აახლოებს⁷⁶. ამავე ნიშნით იგი უკავშირდება დელისის ნამოსახ-
ლარს, რომელიც აგრეთვე ახლო დგას შულავერ — შომუ-თეფეს კულტურის
ძეგლებთან⁷⁷. ზემოთ განხილული ორმოების მასალა ახლო დგას დიდუბის, კი-
კეთის, სამშვილდის, ხიზანაანთ გორის E ფენის, თეთრიწყაროს ნასოფლარის
A ფენისა და სხვა მტკვარ-არაქისის კულტურის ადრეული პერიოდის ძეგლე-
ბის კერამიკასთან. ამრიგად, ღრმახევისთავის ადრეული ჯგუფის ორმოები
თრელის სამაროვნის ქვედაფენებთან ერთად შეიძლება გავაერთიანოთ ერთ
ქრონოლოგიურ ჯგუფში, ჩავთვალოთ დიდუბე-კიკეთის ქრონოლოგიური ჯგუ-
ფის ძეგლების წინამორბედად და IV ათასწლეულის შუა ხანით დავთარილოთ.

ღრმახევისთავის ნასახლარზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში ცალ-
კე გამოიყოფა ორმოებისა და კულტურული ფენების ნაშთების ის ჯგუფი⁷⁸,
სადაც ბუნარევი კერამიკა არ გვხვდება, მაგრამ მათში აღმოჩენილია მტკვარ-
არაქისის კულტურის ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი კერამიკა:
ორყურა⁷⁹ და ცალყურა⁸⁰ ქოთნები, ტაფისებური ქურქელი⁸¹, დისკოსებური
სარქველები⁸² და რქისებურშვერილიანი სადგარები⁸³. ზოგიერთ ქურქელს შე-
მორჩენილი აქვს ქსოვილის ანაბეჭდი⁸⁴. ეს კერამიკა დამზადების ტექნიკითა
და ფორმა-მოყვანილობით თითქმის ანალოგიურია ზემოთგანხილული ადრეუ-
ლი ჯგუფის ორმოებში აღმოჩენილი კერამიკული მასალისა. მასაც, ისევე რო-
გორც ადრეული ჯგუფის ორმოებში აღმოჩენილ კერამიკას, ახასიათებს მო-
რუხო-მოყავისფრო ან ლეგა-მოყავისფრო მოგლუეებული ზედაპირი და შიდა-
პირი და აქვს მინარევებიანი (ქარსი, კვარცი და სილა) მქისვი კეცი. აღსანიშ-
ნავია ის გარემოება, რომ აღნიშნულ ჯგუფში, ბუნარევი თიხის ქურქლის შემ-
ცველ ორმოებისაგან განსხვავებით, აღმოჩენილია სხვადასხვა ზომისა და ფორ-
მის ფიალები. ეს ფიალები წარმოდგენილია ფრაგმენტების სახით, მაგრამ მა-
ინც მოხერხდა მათი ტიპოლოგიური თვალსაზრისით დაჯგუფება. გამოიყო ორი
ჯგუფი: 1) სწორგვერდიანი ცილინდრული ფორმის ჯამები და 2) გადაშლილი
ფიალები. აღნიშნული ქურქელი გამომწვარია მორუხო-მოყავისფროდ ან ლე-

⁷⁵ რ. ა ბ რ ა შ ი შ ვ ი ლ ი, დ. გ ო ო ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 44, 14, 21, 22.

⁷⁶ P. M. M y n a e v, Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, МИА-100, М., 1961, с. 95. 96.

⁷⁷ რ. ა ბ რ ა შ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ.; გვ. 31 32.

⁷⁸ ორმოები №№21 (136, 139, 153, 155), 26 (168), 53 (242, 244-247, 269-271), 54, 55, 56 (277), 65, 66, 67 (341), 73, (375, 379), 81 (423). კულტ. ფენის ნაშთები: 1(477, 482), V(518) IX (540), XII (577, 579), XIII (590).

⁷⁹ ორმოები №№ 21 (136-138), 26 (168), 53 (242, 245), 65, 66, 67 (340), 81 (423).

⁸⁰ ორმოები №№ 54, 55, 56 (277).

⁸¹ ორმოები №№ 21(153), 53(246, 247), 81 (375), კულტ. ფენის ნაშთი 1(477).

⁸² ორმოები №№ 21 (155), 53 (269, 270), 65, 66, 67 (341), 73 (378), კულტ. ფენ. ნაშთი XII (577).

⁸³ კულტ. ფენის ნაშთები: 1(482), V(518), XII (579), XIII (590).

⁸⁴ ორმოები №№21 (148, 151), 53 (273), 54, 55, 56 (292), კულტ. ფენის ნაშთი: IX (539), XII (574) და სხვ.

ვა-მონაცრისფროდ, აქვს მოგლუვებული ზედაპირი და გარეპირი. კეცში ურე-
ვია ქარსი, კვარცი და სილა.

სწორ გვერდიანი ჭამები აღმოჩნდა 3 ცალი⁸⁵, ორი მათგანი პა-
ტარა ფიალაა (ნახ. 62₅₈₀, 585). აქვს სწორი პირი, სწორი გვერდი და ბრტყე-
ლი ბირი⁸⁶, მესამე შედარებით დიდი ზომისაა და მათგან განსხვავდება ბაკო-
მომრგვალებული პირით (ნახ. 63₅₈₂)⁸⁷. ზემოთ განხილულ ჭურჭელს პირდაპი-
რი ანალოგები არ ეძებნება.

გადაშლილი ჭამები აღმოჩენილია 11 ცალი⁸⁸. მათ ახასიათებთ
გადაშლილი სწორი პირი, მომრგვალებული გვერდი და ბრტყელი ძირი. აღნიშ-
ნული ფორმის ჭამებისაგან რამდენადმე განსხვავდება სამი პატარა ზომის ჭამი.
ერთი მათგანი პატარა ფიალას წარმოადგენს (ნახ. 39₅₈₆)⁸⁹, მეორე ჭურჭელს
პირზე დაქრწილი აქვს პატარა შვერილი (ნახ. 62₅₈₁)⁹⁰, მესამე ჭამი ძლიერ
გადაშლილია (ნახ. 46₅₂₀)⁹¹. ზემოთ განხილული ფორმის ჭურჭელი გვხვდება
დიდუბეში⁹², სამშვილდეში⁹³. გარდა ამისა მსგავსი ფორმის ჭამები აღმოჩენი-
ლია პულურში⁹⁴. ამირანის გორაზე ერთ გვიანდელ სამარხში⁹⁵.

როგორც აღინიშნა, ზემოთ განხილულ ორმოებში და კულტურული ფე-
ნების ნაშთებზე აღმოჩენილი კერამიკის ერთი ნაწილი (ორყურა და ცალყურა
ქოთნები, ტაფისებური ჭურჭელი, დისკოსებური ყურიანი სარქველები და
რქისებურშვერილიანი სადგარები) დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კულ-
ტურის ადრეული საფეხურის ძეგლებისათვის (თრელის ნასახლარი, დიდუბე,
კიკეთი, სამშვილდე და სხვ.). რაც შეეხება ჭამებს, აღნიშნული ჭურჭელიც
ანალოგებს მტკვარ არაქსის კულტურის ადრეული პერიოდის ძეგლებზე პოუ-
ლობს (დიდუბე, სამშვილდე). ამრიგად, სავარაუდოა, რომ ზემოაღნიშნული
ჭგუფის ორმოები და კულტურულ ფენებში მოპოვებული კერამიკა ან ადრე-
ული ქრონოლოგიური ჭგუფის ან დიდუბე-კიკეთის დროინდელი ძეგლების
თანადროულია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადრეული ხანის ორმოებში⁹⁶ და კულტურულ
ფენებში აღმოჩნდა ქსოვილიანი კერამიკა⁹⁷. ქსოვილიანი კერამიკა გვხვდება
თრელის მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელ ნასახლარზეც⁹⁸. აღნიშ-

⁸⁵ კულტ. ფენის ნაშთები: XII (560, 567), XIII (582).

⁸⁶ კულტ. ფენის ნაშთი XII (560, 577).

⁸⁷ კულტ. ფენის ნაშთი. XIII (582).

⁸⁸ ორმოები №№73 (572), 81 (520, 521, 525); კულტ. ფენ. ნაშთები: II(484, 485),
V (512), IX (530), XII (561, 562).

⁸⁹ ორმო №73(572).

⁹⁰ კულტ. ფენ. ნაშთი XII (561).

⁹¹ ორმო № 81 (520).

⁹² დ. ქო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. III.

⁹³ გ. მ ი რ ც ხ ე ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., ტაბ. XVII₄, XI₄.

⁹⁴ თ. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართულ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976,
სურ. 71₄.

⁹⁵ ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ამირანის გორა, თბ., 1963, სურ. 17₄.

⁹⁶ ორმო № 15 (112).

⁹⁷ ორმოები №№ 21 (148, 151), 26 (168), 53 (273), 54, 55, 56 (292), კულტ. ფენის ნაშთ.:
II(494), VII (529), VIII (533), IX (539), X (552), XII (574).

⁹⁸ რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დ. გო ც ი რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

ნული ტიპის თიხის ჭურჭელი გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურის როგორც ადრეულ (დიდებე, ღრმახევისთავი, სამშვილდე), ასევე გვიანი ხანის ძეგლებზე — ამირანის გორა, ქვაცხელა, სტეპანაკერტი⁹⁹. ქსოვილიანი კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურიდან მის გვიან საფეხურამდის აგრძელებს არსებობას (მაგ. ილტოს ნამოსახლარი). ღრმახევისთავის ნასახლარზე ქსოვილიანი კერამიკა აღმოჩენილია მხოლოდ ადრეული ჯგუფის ორმოებში და კულტურულ ფენების ნაშთებზე, ხოლო გვიანი ჯგუფის ორმოებში არა გვხვდება.

ღრმახევისთავის ნასახლარის გვიანი ჯგუფის მასალას ახასიათებს შავი ნაპრიალები ან მოგლუვებული ზედაპირი, მოვარდისფრო ან მოყავისფრო შიდაპირი და ორფეროვანი მქისე კეცი¹⁰⁰. კეცში შერეულია ქარსი და კვარცი, ზოგ შემთხვევაში სილა და წვრილი კენჭებიც. ადრეული ჯგუფის ორმოების მასალასთან შედარებით ჭურჭელი უფრო მრავალფეროვანია. აქ წარმოდგენილია მსხლის ფორმის ორყურა და სამყურა ქილები, ფართოპირიანი ორყურა ქილები, ცილინდრული ჭურჭელი, მაღალგვერდიანი ბადები და სხვა. ამ ჯგუფში შედის დიდი ზომის დერჯი, რომელსაც მუცლის წიბოზე კოპები შემოუყვება¹⁰¹. გვიანი ჯგუფის მასალაში არ გვხვდება ბუნარევი, ქსოვილიანი, ანგობირებული და ღია ფერის კერამიკა. სამაგიეროდ აქ წარმოდგენილია კოპებით (ნახ. 765, 871)¹⁰², კანელურებითა (ნახ. 330)¹⁰³ და რელიეფური, ე. წ. სათვალისებური ორნამენტით შემკული (ნახ. 10100, 101) თიხის ჭურჭელი¹⁰⁴. სათვალისებური ორნამენტი ცნობილია კიკეთიდან¹⁰⁵. მსგავსი ორნამენტი გვხვდება ამირანის გორაზე¹⁰⁶ და სხვა ძეგლებზე. როგორც ოთ. ჯაფარიძე აღნიშნავს, ორმაგი სპირალის მორტივი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურაში. იგი გავრცელებულია, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურზე, ასევე ამ კულტურის აყვავების ხანაში და წამყვან ადგილს იკავებს მის განვითარებულ საფეხურზე¹⁰⁷.

ღრმახევისთავის გვიანი ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკა დავყავით სამ ჯგუფად, 1) მსხლისებური ტიპის ჭურჭელი, 2) პირფართო ორყურა ქილები და 3) ცილინდრული ფორმის ჭურჭელი.

მსხლისებური ტიპის ჭურჭელი ღრმახევისთავში აღმოჩენილია 6 ცალი¹⁰⁸. მათ ახასიათებთ ოდნავ გადაშლილი ბაკომომრგვალებული პირი, დაბალი ყელი, მსხლის ფორმის წაგრძელებული კორპუსი და ბრტყელი ძირი. მხარზე და მუცელზე დაქერწყნილი აქვს ოვალურგანიკვეთიანი ორ-ორი ყური (ნახ. 766, 867, 69, 10 93, 32300). ერთი ჭურჭელი სამყურაა (ნახ. 867)¹⁰⁹,

⁹⁹ დასახ. ნაშრ., გვ. 41.

¹⁰⁰ ორმოები №№ 6 (30-48), 11(65-82), 14 (93-102).

¹⁰¹ ორმო № 11 (65).

¹⁰² ორმო № 11 (65, 71).

¹⁰³ ორმო №6 (30).

¹⁰⁴ ორმო №14 (100, 101).

¹⁰⁵ გ. ფ. ხ. ა. ძ. ე. დასახ. ნაშრ., ტაბ. 114, 6-9.

¹⁰⁶ ტ. ჩ. უ. ბ. ი. შ. ვ. ი. ლ. დასახ. ნაშრ. გვ. 77-78, სურ. 536, 37, 41.

¹⁰⁷ ო. ჯ. ფ. ა. რ. ი. ძ. ე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, გვ. 90-92.

¹⁰⁸ ორმოები №№ 6 (30), 11 (66, 67, 69), 14 (93), 58 (300).

¹⁰⁹ ორმო № 11 (67).

ერთ მათგანს მუცელი შემკული აქვს რელიეფური შევრილებით (ნახ. 330)¹¹⁰. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია ქვაცხელაზე¹¹¹ და მარნეულის ველზე გათხრილ მე-9 ყორღანში¹¹².

პირფართო ორყურაქილა აღმოჩნდა 4 ცალი (ნახ. 768, 1095, 32301, 33310)¹¹³. მათ აქვს გადაშლილი ბაკომორგვალბული ფართო პირი, მრგვალი მხარი, ძირისკენ შევიწროვებული ტანი და ბრტყელი ძირი. პირზე და მხარზე დაქერწყილი აქვს ოვალურგანვიკვეთიანი ორ-ორი ყური. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია ქვაცხელაზე¹¹⁴ და ამირანის გორაზე¹¹⁵.

ცილინდრული ფორმის ჭურჭელი ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. მათი მთლიანი ფორმის აღდგენა ვერ მოხერხდა (ნახ. 870-72, 74, 22191)¹¹⁶. აღნიშნული ჭურჭელი გამომწვარია ლეგა-მოშავოდ. არც ერთი მათგანი ერთიმეორის სახეს არ იმეორებს. მათ აქვს სხვადასხვა ზომა და ფორმა. ერთ ჭურჭელს ყური დაქერწყილი აქვს ტანის შუა ნაწილზე (ნახ. 870)¹¹⁷, მეორეს — პირზე და მხარის დასაწყისში (ნახ. 22191)¹¹⁸, მესამე ჭურჭელი ორყურაა და ყურები დაქერწყილი აქვს ყელზე და მხარეზე (ნახ. 872)¹¹⁹, მეოთხე ჭურჭელი მაღალკედლიან ბადიას წარმოადგენს. ტანი შემკული აქვს შევრილებით (ნახ. 871)¹²⁰, მეხუთე ჭურჭელს შემორჩენილი აქვს მხოლოდ ბიკონუსური ძირი და ცილინდრული ტანი (ნახ. 874)¹²¹. აღნიშნული ჭურჭლის ზუსტი ანალოგები ჩვენთვის ცნობილი არ არის.

ღრმავებისთავის ნასახლარის გვიანი ჯგუფის ორმოები, ჩვენი აზრით, მიეკუთვნება მტკვარ-არაქსის კულტურის ყველაზე გვიან ეტაპს¹²². ამის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ № 14 ორმოში აღმოჩენილი ქილისებური ჭურჭლის ფრაგმენტები (ნახ. 10108; 101)¹²³ თავისი ფორმით, კეცით, ზედაპირის დამუშავების ტექნიკითა და შემკობით ახლოს დგას საჩხერის აღრებრინჯაოს ხანის ჭურჭელთან¹²⁴. აღნიშნული ჭურჭელი შემკულია სათვალისებური — რელიეფური ორნამენტით. ამავე ჯგუფშია გაერთიანებული ობსიდიანის ქუსლამოლარული ისრისპირი¹²⁵. ანალოგიური ისრისპირები საჩხერის ტიპის ორნამენ-

¹¹⁰ ორმო № 6(30).

¹¹¹ ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., სურ. 12g.

¹¹² ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ბრინჯაოს ხანის ყორღანები, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, თბ., 1975, გვ. 155-158, სურ. 63g, g, ტაბ. XLIV, 2.

¹¹³ ორმოები №№ 11 (68), 14 (95), 58 (301), 59 (310).

¹¹⁴ ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, სურ. 43.

¹¹⁵ ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., სურ. 7g.

¹¹⁶ ორმოები №№ 11(70, 72, 74), 44 (191).

¹¹⁷ ორმო № 11 (70).

¹¹⁸ ორმო № 44 (191).

¹¹⁹ ორმო № 11 (72).

¹²⁰ ორმო № 11 (71).

¹²¹ ორმო № 6 (51).

¹²² P. А б р а м и ш в и л и, К. К а х и ა ნ ი, Д. Г о ц и რ ი დ з ე, С. Ц и კ ა რ ი - з ე, Г р м ა ხ ე ვ ი ს თ ა ვ ს კ ი ე ს ე ლ ი ა ხ ი მ ი გ ი ლ ი ნ კ ი, Полевые археологические исследования в 1974 году, Тб., 1976, с. 22.

¹²³ ორმო № 14 (100, 101).

¹²⁴ ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ. XVII₄, XVIII, XIX.

¹²⁵ ორმო № 6 (51).

ტულ ქურქელთან ერთად გვხვდება ადრებრინჯაოს გვიანი საფეხურისათვის დამახასიათებელ ძეგლებში: თრიალეთის XI ყორანი (ტაბ. VI₁₋₅)¹²⁶, სტეპანაკერტში¹²⁷, მინგეჩაურში¹²⁸. აღნიშნული ძეგლები ძვ. წ. 2500—2300 წლებით თარიღდება¹²⁹.

ამრიგად, ღრმახევისთავის გვიანი ჯგუფის ორმოებში აღმოჩენილი მასალა თავისი დამზადების ტექნიკითა და ფორმებით უახლოვდება მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანი პერიოდის ძეგლებს და თარიღდება III ათასწლეულის მე-სამე მეოთხედით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ღრმახევისთავის მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელ ნასახლარზე გამოიყო რამდენიმე ქრონოლოგიური ჯგუფი: ყველაზე ადრეული ჯგუფის ორმოები, მისი თანადროული ან მომდევნო პერიოდის ორმოები და კულტურული ფენების ნაშთები, ყველაზე გვიანდელი ორმოები და ადრეულ ჯგუფებსა და გვიანდელ ჯგუფებს შორის გარდამავალი საფეხური. როგორც ჩანს, ღრმახევისთავის ნასახლარი არსებობდა მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის მთელ მანძილზე, ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებიდან ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო მეოთხედამდე.

ექსპედიციამ ღრმახევისთავზე გათხარა ადრებრინჯაოს ხანის 4 სამარხი (№№ 53, 54, 77, 82). სამარხები ინდივიდუალურებიან. ორმოსამარხების იატაკი მოგებულია ფლეთილი ქვებით, რომლებიც ერთმანეთთან მკიდროდ არის მიწყობილი. № 77 სამარხს ჰქონდა ქვაყრილი, ხოლო № 82 სამარხი გადახურული იყო ქვიშაქვის ფილით. №№ 77 და 82 სამარხები ნაწილობრივ დაზიანებული ჰქონდა მომდევნო ხანის სამარხებს. მიუხედავად იმისა, რომ სამარხში ჩონჩხი უკვდავ იყო დატული, შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ მიცვალებულს მარხავდნენ მოხრილ პოზაში, მარჯვენა (სამარხი № 54) ან მარცხენა (სამარხი № 53, 82) გვერდზე. სამარხები ლარიბულია. მხოლოდ № 77 სამარხში აღმოჩნდა პატარა ზომის თიხის ქურქელი და № 82 სამარხში თიხის ქურქლის რამდენიმე ნატეხი.

ღრმახევისთავის მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ძეგლი ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ძეგლია მტკვარ-არაქსის კულტურის დღემდე ცნობილ ძეგლებს შორის. აღნიშნული ძეგლის შემდგომი შესწავლა შესაძლებელს გახდის გაირკვეს ურთიერთობა, ერთი მხრივ, ადრესამოწათმოქმედო კულტურებსა და მტკვარ-არაქსის კულტურას შორის, ხოლო, მეორე მხრივ — შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებთან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ღრმახევისთავზე ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების გარდა გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასოფლარები, სამაროვნები და აქემენიდური პერიოდის სამარხები.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხების უმრავლესობა აღმოჩნდა II სექტორის BC და BV ფართობებზე (ნახ. 77), ხოლო ორი¹³⁰—IV სექტორ-

¹²⁶ Б. А. Куфт и н, დასახ. ნაშრ., ტაბ. CVI₁₋₃.

¹²⁷ Я. М. Г у м е л ь, Некоторые памятники раннебронзовой эпохи Азербайджана, КСИИМС, вып. XX, 1948.

¹²⁸ Г. И. А с л а н о в, Р. И. В а н д о в, Г. И. И о н е, Древний Мингечаур, Баку, 1958.

¹²⁹ ვ. გოგაძე, თრიალეთის ყორანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972, გვ. 95; ქრონოლოგიური სქემა.

¹³⁰ სამარხები №№ 51, 95.

რის CA ფართობზე. აღნიშნული სამარხებიდან 19 ორმოსამარხია¹³¹, ერთი კი ქვაყუთს წარმოადგენს¹³². ორმოსამარხები ჩაპრილია კირნარეე თიხნარში, რის გამოც კონტური კარგად გამოიყოფა. დასაქრძალავი ორმოები კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხედის¹³³ ან ოვალური¹³⁴ ფორმისაა. ზოგიერთ მათგანს თავსა და ბოლოში შემოწყობილი აქვს ქვები¹³⁵. ორმოსამარხები გადახურულია ქვაყრილით¹³⁶ ან ქვის ფილებით¹³⁷, ერთ შემთხვევაში ქვაყრილითა და ქვის ფილით¹³⁸. ქვაყრილი და ქვის ფილები ჩნდებოდა სამარხის იატაკიდან 0,7×1,6 მ სიმაღლეზე და მათ შორის სივრცე შევსებული იყო მიწით ან მიწითა და ქვებით.

ორმოსამარხები ძირითადად დამხრობილია NW-დან SO-კენ¹³⁹, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში—NWW-დან SOO-კენ¹⁴⁰, NOO-დან SWW-კენ¹⁴¹ ან NO-დან SW-კენ¹⁴². სამარხები უმეტესად ინჰუმაციურია, ერთი კი — კენოტაფია¹⁴³.

ორმოსამარხების დაზიანებისა და ჩონჩხის ცუდად დაცულობის გამო მიცვალებულების პოზის დადგენა თითქმის ვერ მოხერხდა. № 95 სამარხში მიცვალებული მჯდომარე პოზაში იყო დაკრძალული.

თუ გავითვალისწინებთ ზოგიერთი სამარხის დასაქრძალავი ორმოს მოცულობის სიმცირესა და ჩონჩხის ძვლების არაბუნებრივ განლაგებას, შეიძლება დავუშვათ, მათშიც¹⁴⁴ მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო მჯდომარე პოზაში.

ამ ფენის სამარხებში აღმოჩენილია კვერცხისებური მოყვანილობის ორყურა ქილები (ნახ. 150, 151, 165, 170—172; ტაბ. XXII, XXVI)¹⁴⁵, სადა და გოფრირებული ქვაბქოთნები (ნახ. 152, 153, 163, 166, 170, 173; ტაბ. XXIII, XXVI, XXVIII)¹⁴⁶, ბიკონუსური და სფერული ფორმის ხელალები (ნახ. 153, 168, 169, 189, 192; ტაბ. XXIII, XXVII, XXXI)¹⁴⁷, მაღალყელიანი ქილები (ნახ. 171, 173; ტაბ. XXVIII)¹⁴⁸, პირმოყრილი ქილა (ნახ. 163, ტაბ. XXVI)¹⁴⁹, წრიული (ნახ. 151, 154, 166, 167, 171—173, 189—192; ტაბ. XXIII, XXXI)¹⁵⁰ და კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხედის ფორმის (ნახ. 150,

¹³¹ სამარხები №№ 51, 81, 83-87, 95-103, 127-130.

¹³² სამარხი № 126.

¹³³ სამარხები №№ 81, 83-87, 97, 98, 100, 102, 103, 127-129.

¹³⁴ სამარხები №№ 99, 101.

¹³⁵ სამარხები №№ 85, 86, 95, 99, 103.

¹³⁶ სამარხები №№ 81, 83, 84, 86, 87, 88, 97, 100-103.

¹³⁷ სამარხები №№ 85, 96, 99, 127, 128.

¹³⁸ სამარხი № 98.

¹³⁹ სამარხები №№ 51, 85, 86, 99, 99-103, 127-129.

¹⁴⁰ სამარხები №№ 81, 83, 84, 87, 98.

¹⁴¹ სამარხი № 97.

¹⁴² სამარხი № 96.

¹⁴³ სამარხი № 99.

¹⁴⁴ სამარხი № 96.

¹⁴⁵ სამარხები №№ 84 (356), 85 (359), 96 (418), 100 (428), 101 (433), 102 (441).

¹⁴⁶ სამარხები №№ 85 (360), 86 (365), 95 (412-414), 97 (419), 100 (429), 103 (445).

¹⁴⁷ სამარხები №№ 86 (364), 98 (423), 99 (427), 126 (507), 129 (518).

¹⁴⁸ სამარხები №№ 101 (433), 103 (444).

¹⁴⁹ სამარხი № 95 (411).

¹⁵⁰ სამარხები №№ 85 (361), 87 (368), 97 (420), 98 (424), 101 (435), 102 (440), 103 (446), 126 (508), 127 (514), 128 (517), 129 (519).

170; ტაბ. XXII, XXVII)¹⁵¹ ლანგრები, ტოლჩა (ნახ. 190, ტაბ. XXXI)¹⁵² და სხვა.

თიხის ქურქელი ძირითადად დამზადებულია ჩარხზე წვრილი და მსხვილი კენკმინარევებიანი მქისე თიხისაგან. გამოშვარია მოშავოდ, მონაცრისფროდ და მორუხოდ. მათი ზედაპირი უმეტესად კარგადაა მოგლუვებული, ზოგიერთი კი ნაპრიალებია.

თიხის ქურქელი ძირითადად შემკულია ამოღარული, ნაპრიალები და რელიეფური ორნამენტით.

გარდა თიხის ქურქლისა სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს ჰედეით დამზადებული შუბისპირი (ნახ. 163, ტაბ. XXVI)¹⁵³, განჯა-ყარაბაღული ტიპის ბრინჯაოსტარიანი რკინის სატევარი (ნახ. 170, ტაბ. XXVII)¹⁵⁴, ბრინჯაოს ორნამენტირებული სარტყლის ფრაგმენტები (ნახ. 189)¹⁵⁵, სამხარიალოე თასმის ბრინჯაოს რგოლი (ნახ. 189)¹⁵⁶, კონუსისებური ფორმის საკინძეები (ნახ. 152, 168, 170, 171, 189; ტაბ. XXIII, XXVII, XXXI)¹⁵⁷, ბრინჯაოს ყუნწჩაკეცილი და ყუნწგახვრეტილი მახათები (ნახ. 123, 152, 171; ტაბ. XVII)¹⁵⁸ და სარდიონისა¹⁵⁹ და მინისებური პასტის¹⁶⁰ მძივები (ნახ. 163, 168, 171, 173; ტაბ. XXVI, XXVIII).

აღნიშნული სამარხებიდან ყველაზე ადრეულია № 95 სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა პირმოყრილი ქილა, სამი ქვაბქოთანა, ბრინჯაოს მასრაგახსნილი ნაქედი შუბისპირი და სარდიონისა და მინისებური პასტის ინკრუსტირებული მძივები. № 95 სამარხი მასში აღმოჩენილი ინვენტარით ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეების მიჯნის ახლო ხანით უნდა დათარიღდეს. საეარაუდოა, რომ მისი ზედა ქრონოლოგიური საზღვარი ძვ. წ. XIII საუკუნეს არ უნდა ცილდებოდეს.

დანარჩენი სამარხები მასში აღმოჩენილი კონუსისებური ფორმის საკინძეებითა და სხვა ინვენტარით ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებით თარიღდება.

მომდევნო ხანის სამარხები, რომელიც ღრმახევისთავის სამაროვანზე გაითხარა, მიეკუთვნება რკინის ფართო ათვისების ხანას. სამარხების უმეტესობა აღმოჩნდა IV სექტორში (ნახ. 76), მცირე ნაწილი — III¹⁶¹ და II¹⁶² სექტორებში.

სამარხები ძირითადად ქვაყუთს წარმოადგენს. დამხრობილია NW-დან SO-კენ, იშვიათ შემთხვევაში კი გადახრილია N-ით ან S-ით. ქვაყუთები სხვადასხვა ზომისაა. მათი ზომები მერყეობს 1,28 X 0,78 მ-დან 0,55 X 0,38 მ-მდე, სიღრმე — 0,6 მ-დან 0,3 მ-მდე. სამარხები შედგენილია ოთხი, ხუთი ან ექვსი თხელი ან სქელი ფილაქვისაგან და გადახურულია უმეტესად ერთი ან

¹⁵¹ სამარხები №№ 84 (358), 100 (430).

¹⁵² სამარხი № 127 (515).

¹⁵³ სამარხი № 95 (415).

¹⁵⁴ სამარხი 100 (431).

¹⁵⁵ სამარხი №126 (510).

¹⁵⁶ სამარხი № 126 (511).

¹⁵⁷ სამარხები №№85 (362), 98 (426), 100 (432), 101 (436, 437), 126 (512).

¹⁵⁸ სამარხები №№ 51 (246), 85 (363), 101 (438).

¹⁵⁹ სამარხები №№ 95 (416), 101 (439), 13 (448).

¹⁶⁰ სამარხები №№ 95 (417), 97 (423).

¹⁶¹ სამარხები №№104, 105, 107-110.

¹⁶² სამარხი № 38.

რამდენიმე ფილაქვით. ქვაყუთების ორმოში გამაგრების მიზნით სამარხის კედლებსა და ორმოს შორის ჩაწყობილია ქვები. სამარხები ინჰუმაციურია. უმეტესად დაკრძალულია ერთი, ორ შემთხვევაში კი — ორ-ორი მიცვალებული¹⁶³. დაკრძალვის პოზა მხოლოდ ექვს სამარხში დადგინდა¹⁶⁴. მიცვალებული დაკრძალულია მოხრილი კიდურებით მარჯვენა¹⁶⁵ ან მარცხენა¹⁶⁶ გვერდზე, თავით N-კენ ან NW-კენ.

ქვაყუთში ინვენტარი ძირითადად განლაგებულია მიცვალებულის სახის, გულმკერდისა და ქვედა კიდურების წინ.

№ 94 სამარხი აღმოჩნდა IV სექტორში მდებარე რკინის ფართო ათვისების ხანის № 4 ნაგებობის მიერ დაზიანებულ მტკვარ-არაქსის ორმოში. ორმოში უწყსრიგოდ ჩაყრილი იყო რამდენიმე მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები, ერთი თიხის ჭურჭელი, რკინის დანა და რკინის ლერაკი.

ქვაყუთების დიდი ნაწილი დანგრეულია ფაბრიკის მშენებლობის დროს ან დაზიანებული და გაძარცვულია ადრევე.

ამ ფენის თიხის ჭურჭელი უმეტესად ხელითაა ნაძერწი წვრილკენჭმინარევებიანი თიხისაგან. აქვს შავი, ნაცრისფერი, ლეგა-მონატრისფრო ან ლეგა-მორუხო ფერის ზედაპირი. გვხვდება მორუხო-მოვარდისფრო ზედაპირიანი¹⁶⁷ და წითლადშეღებილი¹⁶⁸ ჭურჭელიც.

თიხის ჭურჭლის ფორმებიდან გვხვდება: დოქები და ხელალები¹⁶⁹, ცალყურა ქოთნები¹⁷⁰, პირგადაშლილი, პირშენეჭილი და სწორპირიანი ჯამები¹⁷¹, ტოლჩები¹⁷², კოქობები¹⁷³, შვერილიანი ფიალა¹⁷⁴ და სხვ.

თიხის ჭურჭლის გარდა აღმოჩნდა: რკინის სატყელები (105, 116; ტაბ. XIV, XVI)¹⁷⁵, რკინის მასრაგახსნილი შუბისპირები (ნახ. 94, 116, 178, 183, 200, 201; ტაბ. XXXII)¹⁷⁶, ბრინჯაოს ორფრთიანი და სამფრთიანი ისრისპირები (ნახ. 86, 183; ტაბ. IX, XXIX)¹⁷⁷, რკინის დანები (ნახ. 86, 90, 94, 155,

¹⁶³ სამარხები №№12, 18.

¹⁶⁴ სამარხები №№7, 11, 38, 88, 91, 105.

¹⁶⁵ სამარხები №№ 11, 38, 91, 105.

¹⁶⁶ სამარხები №№7, 88.

¹⁶⁷ სამარხი №106 (456).

¹⁶⁸ სამარხები №№ 108 (466), 133 (531), 135 (541).

¹⁶⁹ სამარხები №№ 4(117), 6(127), 7(135), 8(141), 10(147), 11(152), 20(186), 24(187-190), 31(202), 36(217), 38(218), 88(371), 104(449), 106(456), 107(459), 108(466), 109(474), 112(482), 138(551, 552), (554, 556).

¹⁷⁰ სამარხები №№4(118), 6(128), 7(136), 8(142), 9(146), 10(148), 11(153), 12(161), 18(172), 22(185), 38(219), 41(233), 63(296), 88(370), 94(408), 104(450), 106(457), 107(460), 108(467), 112(483), 131(525), 134(535), 135(539, 540), (558-560, 567).

¹⁷¹ სამარხები №№ 3(113), 4(119), 6(129), 7(137), 10(149), 11(154), 12(162), 24(190), 191), 31(203), 32(206), 34(214), 38(220), 41(234), 104(451), 107(461), 108(468), 109(476), 111(479), 134(536), 136(542, 543), 137(547, 571).

¹⁷² სამარხები №№ 10(150), 13(165), 38(221), 104(452).

¹⁷³ სამარხები №№ 6(130), 7(138), 10(151), 11(155), 12(163), 17(170), 18(173, 174), 20(181), 21(184), 22(186), 30(201), 31(204), 88(372), 105(454), 107(462), 108(469), 109(475), 114(479), 133(531), 134(537, 538), 135(541), 136(545, 546), (563).

¹⁷⁴ სამარხი № 104 (453).

¹⁷⁵ სამარხები №№ 24(192), 38(222),

¹⁷⁶ სამარხები №№ 11(156), 38(223), 108(471), 137(550), 138(553).

¹⁷⁷ სამარხები № 6(132), 113(484).

162, 178)¹⁷⁸, რიყის ქვისა და ქვაქვიშის საღესები (ნახ. 106, 155, 178; ტაბ. XV, XXIII¹⁷⁹), ბრინჯაოს ძეწკვი რკინის თავზეა საყინძებით (ნახ. 88, ტაბ. X)¹⁸⁰, ბრინჯაოს ფიბულა (ნახ. 105, ტაბ. XIV)¹⁸¹, ბრინჯაოს მრგვალი, ოვალური და ბრტყელი მავთულისაგან დამზადებული სადა და ორნამენტირებული სამაჭურები¹⁸², ბრტყელი ფირფიტოვანი და მავთულის სპირალურად დახვეული ბეჭდები (ნახ. 94, 174, 181; ტაბ. XXIX)¹⁸³ და სარდიონის, ნიყარის, ძვლის, ალუბასტრის, ქარვის, მინის და მინისებური პასტის მძივები¹⁸⁴.

რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხებიდან ყველაზე ადრეულია და ძვ. წ. VII საუკუნით თარიღდება № 24 და № 38 სამარხები. ამ სამარხებში აღმოჩენილი რკინის სატევრები გავრცელებულია ქვემო ქართლსა და ჩრდილოეთ სომხეთში ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში¹⁸⁵. ძვ. წ. VI საუკუნით უნდა დათარიღდეს №6 ქვაყუთი, რომელშიც აღმოჩნდა სკვითური ტიპის ბრინჯაოს სამფრთიანი ისრისპირი, რკინის დანა, თიხის ოთხი ქურქული და სარდიონის, მინისა და მინისებური პასტის მძივები. დანარჩენი სამარხები (№№ 2 — 4, 7 — 15, 17, 18, 20—22, 26, 30—32, 34, 36, 41, 50, 88, 94, 104—113, 131, 133—138) მასში მოპოვებული მასალის მიხედვით ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოთი და ძვ. წ. VI საუკუნით უნდა დათარიღდეს. ორმახევისთავის ამ ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხების სინქრონული და ამავე კულტურის წრეში შემავალი ძეგლებია: მუსი-იერის შაითან-დაღის, ახტალის¹⁸⁶, კაზრეთის¹⁸⁷, წოფის (სამარხების ერთი ნაწილი)¹⁸⁸, დმანისის¹⁸⁹, განთიადის (№№ 1—7 სამარხები)¹⁹⁰ და შორის (სამარხების ერთი ნაწილი)¹⁹¹ სამარხოვნები. ორმახევისთავის სამარხების მსგავსი მასალაა აგრეთვე აღმოჩენილი თრელის¹⁹², სამთავროსა¹⁹³ და ცხინანას სამარხოვნებში¹⁹⁴ და სხვ.

ამავე სამარხოვანზე გაითხარა აქემენიდური პერიოდის სამარხები. სამარხები ძირითადად ქვაყუთებითაა წარმოდგენილი, გვხვდება ორმოსამარხებიც.

¹⁷⁸ სამარხები №№ 6 (131), 8 (145), 11 (157), 88 (374), 94 (409), 108 (470).

¹⁷⁹ სამარხები №№ 26 (196), 88 (375, 376), 108 (473).

¹⁸⁰ სამარხი № 7 (139).

¹⁸¹ სამარხი № 24 (193).

¹⁸² სამარხები №№1(116), 4 (120), 8 (144), 11(158), 24 (194), 38 (224), 107 (463), 108 (472), 133 (532-534).

¹⁸³ სამარხები №№ 11(159), 107(464), 111(481).

¹⁸⁴ სამარხები №№ 4 (121), 6 (134), 7 (140), 11 (160), 32 (208), 107 (465), 110 (477).

¹⁸⁵ რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სსმ. XXII-B, თბ., 1961, გვ. 369, 371.

¹⁸⁶ J. D e M o r g a n, Mission scientifique Au Caucase, Paris, 1889, გვ. 44-74.

¹⁸⁷ შ. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე, გ. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი, კაზრეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები, სსმ, XXXII — B, თბ., 1976, გვ. 96-104.

¹⁸⁸ რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, წოფის სამაროვანი, ხელნაბეჭდი, გვ. 5, 6.

¹⁸⁹ გ. ნ ი ო რ ა ძ ე, დმანისის ნეკროპოლი და მისიზოგოტრთი თავისებურება, სსმ, XIV-B, თბ., 1947, გვ. 1-56.

¹⁹⁰ გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში, თბ., 1974, გვ. 65-74.

¹⁹¹ ო. თ. ტ ე ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ფოლადურის ხეობა, თბ., 1969, გვ. 26-70.

¹⁹² სამარხი №64.

¹⁹³ სამარხი 213.

¹⁹⁴ A. A. H y u ბ ი დ з e, Археологические раскопки в село Абано, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 65-71.

ქვეყნები, ისევე როგორც წინააღმდეგ ხანის სამარხები, შედგენილია ოთხი, ხუთი ან ექვსი ფილაკვებისაგან და უმეტესად გადახურულია ერთი ან რამდენიმე ფილაკვით. ორმოსამარხები¹⁹⁵, სადაც ორმოს კონტურის დაქვერვა მოხერხდა. წარმოადგენს კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხედის ფორმის სამარხებს. სამარხების ნაწილს ქვეები აქვს ირგვლივ შემოწყობილი¹⁹⁶, ხოლო ნაწილი გადახურულია ქვის ფილებით¹⁹⁷ ან ქვაყრილით¹⁹⁸.

სამარხებში უმეტესად დაკრძალულია ერთი, იშვიათად კი ორი ან რამდენიმე¹⁹⁹ მიცვალებული.

სამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია მოხრილი კიდურებით მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით N-ით ან NW-ით.

აქმენიდური პერიოდით (ძვ. წ. V—IV სს.) თარიღდება №№ 1, 5, 16, 19, 29, 32, 35, 39, 40, 47—50, 55—62, 65—75, 78, 79, 89, 91—93, 114—118, 132 სამარხები.

ამ სამარხებში მოპოვებულია ცალყურა ქოთნები²⁰⁰, სამტუჩა ხელაღები²⁰¹, კოკობები²⁰², ქილები²⁰³, პირმოყრილი ჯამები²⁰⁴, ფიალები (ნახ. 79, 158; ტაბ. VII, XXIV)²⁰⁵, მოხატული ჭურჭელი (ნახ. 158, ტაბ. XXIV)²⁰⁶ და სხვ.

თიხის ჭურჭელი წინა ხანისაგან განსხვავებით გამოიყვარა მორუხო-მონაცრისფროდ, მორუხო-მოწითალოდ, იშვიათ შემთხვევაში გვხვდება მოშავო-მონაცრისფრო ეგზემპლარებიც.

თიხის ჭურჭლის გარდა აღმოჩნდა: რკინის მასრაგახსნილი შუბისპირები²⁰⁷, რკინის მოხრილი დანები²⁰⁸, სალესი ქვები²⁰⁹, ბრინჯაოსა²¹⁰ და რკინის²¹¹ სადა და ორნამენტირებული სამაჯურები, ვერცხლისა და ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები²¹², ბრინჯაოს ძეწკვები, რკინისა და ბრინჯაოს საკინძე-

¹⁹⁵ სამარხები №№ 1, 5, 16, 29, 39, 40, 48, 58, 75, 89, 90.

¹⁹⁶ სამარხები №№ 29, 75.

¹⁹⁷ სამარხები №№ 1, 16, 58.

¹⁹⁸ სამარხი № 90.

¹⁹⁹ სამარხები №№ 40, 56, 66, 75, 78.

²⁰⁰ სამარხები №№ 1(101), 39(226), 50(241), 59(273), 61(286), 65(298, 299), 67(303), 69(311), 70(320, 321), 71(325), 73(339), 75(347), 78(351, 352), 91(381), 93(399), 117(505), 118(506), 130(521).

²⁰¹ სამარხები №№ 57(267), 59(272), 62(290), 70(319), 92(390), 114(489, 490), 115(497).

²⁰² სამარხები №№ 1(105), 5(122), 40(229), 50(242), 59(274), 61(287), 69(312), 89(377), 91(383), 93(401).

²⁰³ სამარხები №№ 16(168), 28(198), 56(255), 58(269).

²⁰⁴ სამარხები №№ 62(291), 67(305).

²⁰⁵ სამარხები №№ 1(103), 91(382).

²⁰⁶ სამარხი № 91(384).

²⁰⁷ სამარხები №№ 60(279), 71(327), 74(345), 93(403).

²⁰⁸ სამარხები №№ 40(231), 56(256), 59(275), 60(280), 71(326), 74(344), 75(348), 92(392), 93(402), 115(499).

²⁰⁹ სამარხები №№ 40(232), 60(281).

²¹⁰ სამარხები №№ 56(258-260), 57(267), 65(300), 68(309), 69(314, 315), 73(341), 92(395), 114(493, 494).

²¹¹ სამარხები №№ 1(108, 109), 5(124, 125), 57(266), 58(271), 59(276), 60(282, 283), 61(288), 62(293), 70(323), 71(328, 329), 74(346), 79(354), 89(378), 91(385), 92(394), 93(404), 115(500), 132(527).

²¹² სამარხები №№ 92(396, 397), 114(492), 115(502).

ბით²¹³, ბრინჯაოს ფარაკიანი, სპირალური და დაწნული ბეჭდები (ნახ. 118, 126, 144, 158, 160; ტაბ. XVII, XVIII, XXII, XXIV, XXV)²¹⁴, სარდიონის, გიშრისა და მინისებური პასტის მძივები²¹⁵ და სხვ.

ზემოაღნიშნული პერიოდის ღრმახევისთავის მასალა ახლო პარალელებს პოულობს ახალსოფლის, კუმისის²¹⁶, გომარეთის²¹⁷, კამარახევის²¹⁸, თეთრიწყაროს²¹⁹, დაფნარისა²²⁰ და სხვა მასალებთან.

ამავე ტერიტორიაზე გაითხარა რკინის ფართო ათვისების ხანის 11 ნაგებობა და ნაგებობის ნაშთები.

ფართობის 2/3 კვადრატში, O ზაზიდან 2,49 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს მცირე ზომის ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურულია ერთი მთლიანი ფილაქვით. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 0,78×0,48 მ-ზე, სიღრმე — 0,4 მ.

ქვაყუთში აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალისა და ნეკნების ფრაგმენტები. მიცვალებულის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.


ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ოთხი ჭურჭელი (№№ 127—130), რკინის დანა (№ 131), ბრინჯაოს ისრისპირი (№ 132), ბრინჯაოს ლერაკი (№ 133) და მძივები (№ 134).

127. ხელადა — მორუხო-მოშავო ზედაპირით, მოშავო-მონაცრისფრო შიდაპირითა და მოყავისფრო-მოშავო კეცით. ორნამენტი ამოღარული, ნაკლებიც და ნაპრიალებია.

128. ქოთანი — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირითა და შიდაპირით. ორნამენტი ამოღარულია.

129. ჯამი — შავი ზედაპირითა და მოშავო-მონაცრისფრო გარეპირით.

130. კოჭობი — არათანაბრად გამომწვარი ლეგა-მოშავო ზედაპირითა და რუხი-მონაცრისფრო შიდაპირით. ჭურჭელი ნაკლულია. ნაძერწია ხელით.



ნახ. 65.


131. რკინის დანის ფრაგმენტები.

132. ბრინჯაოს სამფრთიანი ისრისპირი.

133. ბრინჯაოს ლერაკი — ბოლოებმოხრილი.

134. მძივები (215 ც.) — სარდიონის 2 ც., მინის 28 ც. და მინისებური პასტის 185 ც.

სამარხი № 7 (ნახ: 87, 88; ტაბ. X) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 9/6 და 9/7 კვადრატებში, 0 ხაზიდან 2,12 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურულია მოზრდილი ფილაქვით. გადასახურავ ფილაქვას SW ნაწილში ზემოდან ეფარა მცირე ზომის ორი ფილა. ქვაყუთი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1,25×0,83 მ-ზე, სიღრმე — 0,6 მ. გადასახურავი ფილაქვის SO ნაწილში აღმოჩნდა ადამიანის კიდურის ძვალი, ხოლო SW კედლის ზემოთ 15—17 სმ-ზე კი — ადამიანის თავის ქალის ფრაგმენტები.



ნახ. 87.

ქვაყუთში აღმოჩნდა ადამიანის ძალზე დაზიანებული ჩონჩხის ნაწილები. შემორჩენილი თავის ქალის, წინამხრისა და ქვედა კიდურის ძვლების მიხედვით მიცვალებული დაკრძალულია მარცხენა გვერდზე მოხრილი კიდურებით, თავით NW-კენ.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ოთხი ჭურჭელი (№№ 135—138), ბრინჯაოს ძეწკვიანი რკინის ორი საკინძი (№ 139) და მძივები (№ 140).

135. ხელადა — ლეგა-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და ნაცრისფერი კეციტით. ორნამენტი ამოღარული და ნაპრიალებია.

136. ქოთანის — მოშავო-მორუხი ზედაპირით, მოშავო შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეციტით.


137. ჯამი — შავი ზედაპირითა და მოშავო-მონაცრისფრო გარეპირით.

138. კოჭობი — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირითა და შიდაპირით. ნაძერწია ხელით.


139. რკინის ორი საკინძი ბრინჯაოს ძეწკვით.

140. მძივები (13 ცალი) — სარდიონის.

სამარხი № 8 (ნახ. 89, 90; ტაბ. XI) — აღმოჩნდა IV სექტორის AB



Биб. 88.




Биб. 89.

ფართობის 3/3 კვადრატში, O ხაზიდან 1,59 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს დაზიანებულ მცირე ზომის ქვაყუთს. შემორჩენილია ქვაყუთის NW და NO კედლები. სამარხში აღმოჩნდა მცირეწლოვანი მიცვალებულის ლულოვანი ძელის ფრაგმენტები. მიცვალებულის დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის 3 ჭურჭელი (№№ 141—143), ბრინჯაოს სამაჯური (№ 144) და რკინის ლერაკის ორი ფრაგმენტი (№ 145).

141. ხელადა — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, შავი შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეციტ. ორნამენტი ამოღარული და ნაპრიალებია.

142. ქოთანის — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, ნაცრისფერი შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეციტ. ორნამენტი ამოღარულია.



ნახ. 90.


143 ფილა — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, გარეპირითა და რუხი კეციტ. ნაძერწია ხელით.

144. ბრინჯაოს სამაჯური.

145. რკინის ლერაკის ფრაგმენტები.

სამარხი № 9 (ნახ. 91) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 10/7 კვადრატში, O ხაზიდან 2,1 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი ქვისაგან შედგენილ დაზიანებულ ქვაყუთს. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი ზომებია: 0,67×0,37 მ-ზე, სიღრმე — 0,36 მ.

სამარხში აღმოჩნდა მხოლოდ თიხის ერთი ჭურჭელი (№ 146).



ნახ. 91.

146. ქოთანა — ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. ორნამენტი ამოღარულია.

სამარხი № 10 (ნახ. 92, ტაბ. XI) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 10/2 კვადრატში, 0 ხაზიდან 2,64 მ სიმაღლეზე. წარმოდგენს ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურულია ფილაქვით. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი ზომებია: 0,93×0,46 მ-ზე, სიღრმე -- 0,46 მ.

სამარხი დაზიანებულია მშენებლობის დროს. მშენებლებმა გადმოგვეცხადამიანის თავის ქალა და თიხის ხუთი ჭურჭელი (№№ 147—151).

147. ხელადა — შავი ნაცრისფერლაქებიანი ზედაპირით, შიდაპირითა და ნაცრისფერი კეცით. მხარსა და მუცელზე ორნამენტი ამოღარული და ნაჭღევია, ყურზე კი — რელიეფური.

148. ქოთანა — შავი და ნაცრისფერი ზედაპირით, შავი შიდაპირითა და შავი კეცით. მუცელზე დაჭერწილია ვერტიკალურად გახვრეტილი რვა შვერილი. ორნამენტი ამოღარულია.

149. ჯამი — ლეგა-მოშავო ზედაპირითა და მოშავო-მონაცრისფრო გარეპირით.

150. ტოლჩა — მოშავო-მორუხო ზედაპირით, ნაცრისფერი შიდაპირითა და მოშავო-მორუხო კეცით. ორნამენტი ამოღარული და ნაჭღევია.


151. კოჭობი — მოშავო-მორუხო ზედაპირით, შიდაპირითა და ნაცრისფერი კეცით. ხელითაა ნაჭერწი.

სამარხი № 11 (ნახ. 93, 94; ტაბ. XII) — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 4/4 კვადრატში, 0 ხაზიდან 1,47 მ სიმაღლეზე. წარმოდგენს ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურულია ერთი ფილაქვით. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ.


ქვაყუთში მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით, თავით NW-კენ.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის 4 ჭურჭელი (№№ 152—155), რკინის შუბისპირი (№ 156), რკინის მოხრილი დანა (№ 157), ბრინჯაოს სამაჯური (№ 158), ბრინჯაოს ბეჭედი (თითის ფალანგაზე, № 159) და მძივები (№ 160).

152. ხელადა — ლეგა-მოშავო ზედაპირით, ნაცრისფერი შიდაპირითა და რუხი კეცით. ორნამენტი ნაპრიალები, ნაჭღევი და რელიეფურია.



ნახ. 92.



ნახ. 93.

153. ქოთანნი — რუხი-მონაცრისფრო ვარდისფერლაქებიანი ზედაპირით, ლეგა-მოშავო შიდაპირითა და მორუხო-მოშავო კეციტ. ორნამენტი ამოღარულია.

154. ჯამი — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, ლეგა-მოშავო გარეპირითა და შავი კეციტ.

155. კოჭობი — ლეგა-მორუხო ზედაპირით, ნაცრისფერი შიდაპირითა და რუხი კეციტ. მუცელზე დაძვრწილია პორიზონტალურად გახვრეტილი ოთხი შვერილი.

156. რკინის მასრაგახსნილი შუბისპირის ფრაგმენტები.

157. რკინის მოხრილი დანა.


158. ბრინჯაოს სამაჯური.

159. ბრინჯაოს ფირფიტის ბეჭედი.

160. მძივები (20 ცალი) — სარდიონის 7 ც., ქარვის 5 ც., მინის 7 ც. და მინისებური პასტის 1 ც.

ს ა მ ა რ ხ ი № 12 (ნახ. 95, ტაბ. XIII) — აღმოჩნდა IV სექტორის BA ფართობის 3/2 და 4/2 კვადრატებში, 0 ხაზიდან 1,88 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს მშენებლობის დროს დაზიანებულ ქვაყუთს. შემორჩენილია სამარხის SO კედელი, SO და SW კედლების ორმოში გასამაგრებელი ქვები. სამარხში მიცვალებულის ჩონჩხიდან აღმოჩნდა ბარძაყის, წინამხრის, მენჯისა და წვივის ძვლები. სამარხში დაკრძალულია ორი მიცვალებული. მეორე მიცვალებულის დაკრძალვის დროს დაუზიანებიათ პირველი მიცვალებულის ჩონჩხი. სამარხის დაზიანების გამო მიცვალებულების დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი (№№ 161, 163) და თიხის ჭურ-



ნახ. 94.

ქლის პირის ნატეხი (№ 164), ხოლო სამარხის გარეთ, SO კედელთან კი — ჯამი (№ 162).


161. ქოთანის — ლეგა-მოვარდისფრო ზედაპირით, ნაცრისფერი შიდაპირითა და შავი კეციტით. ორნამენტი ამოღარულია.

162. ჯამი — შავი ზედაპირით, მოშავო-მონაცრისფრო გარეპირითა და ნაცრისფერი კეციტით.

163. კოკობი — ნაცრისფერი ზედაპირითა და შიდაპირით. ტანზე დაძვრწილია ხუთი ვერტიკალურად გახვრეტილი შვერილი. მხარზე ორნამენტი ნაკედევია, ძირზე კი — ამოღარული.

164. თიხის ჭურჭლის პირის ნატეხი — ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და შავი კეციტით.

სამარხი № 13 (ნახ. 96, ტაბ. XIII) — აღმოჩნდა IV სექტორის BA ფართობის 2/3 კვადრატში, 0 ხაზიდან 2,1 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი თხელი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურულია გატეხილი ფილაქვით. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 0,78×0,6 მ-ზე, სიღრმე — 0,36 მ. სამარხში აღმოჩნდა ადამიანის თავის ქალა და თიხის ჭურჭელი.



ნახ. 95.



ნახ. 96.


165. ტოლჩა — ლეგა-მონატრისფრო ზედაპირით, შავი შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეციტ. ორნამენტი ნაპრიალებია.

სამარხი № 14 (ნახ. 97, ტაბ. XIII) — აღმოჩნდა IV სექტორის BA ფართობის 1/4 კვადრატში, 0 ხაზიდან 2,12 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს სამი სქელი და ერთი თხელი ფილაქვებისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც N ნა-

წილში გადახურულია რამდენიმე სქელი ქვით. ქვაყუთი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი ზომებია: $0,7 \times 0,45$ მ-ზე, სიღრმე — $0,4$ მ.

სამარხში აღმოჩნდა მხოლოდ თიხის ერთი ჭურჭელი (№ 166).

სამარხი დაზიანებული და გაძარცულია.



ნახ. 97.

166. ფილა — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, მოშავო-მორუხო გარეპირითა და მონაცრისფრო-მორუხო კეცით. ჭურჭელი ნაძერწია ხელით.

სამარხი № 15 — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 10/5 კვადრატში, 0 ხაზიდან $2,16$ მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი სქელი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელსაც არ ჰქონდა სახურავი. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია $0,55 \times 0,38$ მ-ზე, სიღრმე — $0,35$ მ. ქვაყუთის S კუთხეში აღმოჩნდა ადამიანის თავის ქალა. ინვენტარის სამარხში არ აღმოჩენილა.

სამარხის გარეთ, ქვაყუთის პირის დონეზე აღმოჩნდა ქოთანი (№ 167).

167. ქოთანი — მორუხო-მონაცრისფრო ზედაპირით, რუხი ზედაპირითა და ასეთივე ფერის კეცით.

სამარხი № 16 (ნახ. 98, 99; ტაბ. XIII) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 9/10 კვადრატში, 0 ხაზიდან $0,7$ მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ქვის ფილით გადახურულ ორმოსამარხს. სამარხის კონტურის გამოყოფა ვერ მოხერხდა. ჩონჩხისა და ინვენტარის მიხედვით მისი ზომებია: $1,2 \times 0,5$ მ-ზე. სამარხში აღმოჩნდა ზრდადასრულებული მიცვალებული დაკრძალული მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით, თავით NW-კენ.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ერთი ჭურჭელი (№ 168) და მინისა და მინისებური პასტის მძივები (№ 169).


168. ქილა — ვარდისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით.

169. მძივები (27 ც.) — მინის 19 ც. და მინისებური პასტის 8 ც.


სამარხი № 17 (ნახ. 100, ტაბ. XIII) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 8/7 კვადრატში, 0 ხაზიდან $2,05$ მ. სიმაღლეზე. წარმოადგენს ექვსი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს (გრძივი კედლები შედგენილია ორ-ორი ქვისაგან), რომელიც გადახურულია დამტვრეული ფილაქვით. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი ზომებია: $1 \times 0,75$ მ-ზე, სიღრმე — $0,5$ მ.

ქვაყუთში მიცვალებულის ჩონჩხი ნაკლული და არეულია. დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.


ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ერთი ჭურჭელი (№ 170), ირმის რქა (№ 171) და წვრილფეხა საქონლის კბილები.



ნახ. 98.



ნახ. 99.




ნახ. 100.

170. კოჭობი — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, შავი შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეციტ. ტანზე დაქერწყილი აქვს ხუთი კოპი.

171. ირმის რქა.

სამარხი № 18 (ნახ. 101, ტაბ. XIV) — აღმოჩნდა IV სექტორის AA

ფართობის 9/7 კვადრატში, 0 ხაზიდან 1,93 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი ოხელი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელსაც დაზიანებული ჰქონდა სახურავი. ქვაყუთი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: $0,95 \times 0,55$ მ-ზე, სიღრმე — 0,53 მ.



ნახ. 101.

სამარხში აღმოჩნდა ორი მიცვალებულის ჩონჩხი. № 1 მიცვალებულის თავის ქალა აღმოჩნდა S კუთხესთან, მასვე უნდა ეკუთვნოდეს ბარძაყისა და ზედა კიდურების ძვლები. № 1 მიცვალებულის ძვლები არეულია. სავარაუდოა, რომ ის დაზიანებულია № 2 მიცვალებულის დაკრძალვისას. № 2 მიცვალებული დაკრძალულია სამარხის № მხარეს. თავის ქალა და ნეკნები მიხვტილია სამარხის NO კედელთან, ხოლო ბარძაყის ძვლები აღმოჩნდა სამარხის SW კედელთან. № 2 მიცვალებულის დაკრძალვის პოზაც ვერ გაირკვა. როგორც ჩანს, სამარხი დაზიანებული და გაძარცვულია.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის სამი ჭურჭელი (№№ 172-174), რკინის ღერო (№ 175) და წვრილფეხა საქონლის კოჭი და ქვედა ყბის ფრაგმენტები.

172. ქოთანა — მონაცრისფრო-მოშავი ზედაპირით, შიდაპირითა და შავი კეციით. ორნამენტი ამოღარულია.

173. კოჭობი — ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეციით. ორნამენტი რელიეფურია. ხელითაა ნაძერწი.

174. კოჭობი — შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ასეთივე ფერის მქისე კეციით. ნაძერწია ხელით.

175. რკინის ღერო.

სამარხი № 19 — აღმოჩნდა IV სექტორის BA ფართობის 1/6 კვადრატში, 0 ხაზიდან 1,73 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურულია ორი ფილაქვით. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: $0,86 \times 0,64$ მ-ზე, სიღრმე — 0,4 მ. სამარხი გაძარცვულია. მიცვალებულის ჩონჩხიდან ჩვენამდე მოაღწია თავის ქალის, ლავიწის, წინა მხრის, ხერხემლის ძვლებისა და ქვედა ყბის ფრაგმენტებმა. ჩონჩხის ძვლები არეული და მიმოფანტულია სამარხის მთელ ფართობზე. დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.


ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა რკინის ფრაგმენტირებული დანა

(№ 176), რკინის ღერო (№ 177), ვერცხლის რგოლის ფრაგმენტი (№ 178) და მინისებური პასტის მძივი (№ 179).

ს ა მ ა რ ხ ი № 20 (ნახ. 102) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 9/5 კვადრატში, 0 ხაზიდან 2,08 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი თხელი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურულია გატეხილი ფილაქვით. ფილაქვის N კუთხე დაზიანებული და ნაკლულია. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1,28 X 0,35 მ-ზე, სიღრმე — 0,54 მ.

ქვაყუთში, NO კედელთან აღმოჩნდა ადამიანის ნაკლული ჩონჩხი (თავის ქალის, მენჯისა და ლულოვანი ძვლის ფრაგმენტები). დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხი გაძარცვულია.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭლის ნატეხები (№№ 180, 181), ბრინჯაოს ორი მილაკი (№ 182), და მძივები (№ 183).



ნახ. 102.

180. ღოჭი — მორუხო-მონაცრისფრო ზედაპირით, მოშავო-მონაცრისფრო შიდაპირითა და ნაცრისფერი კეცით. ორნამენტი ამოღარული, ნაქდევია და ნაპრიალებია.

181. კოკობის ძირ-ვევრდის ნატეხი — შავი ზედაპირით, ასეთივე ფერის შიდაპირითა და მოშავო-მონაცრისფრო კეცით.

182. ბრინჯაოს მალაქები (2 ც.).

183. მიწვები (40 ც.) — სარდიონის 36 ც., ქარვის 2 ც., კაური 2 ც.,
შვლის 1 ც., ალუბასტრის 1 ც. და მინის 1 ც.


სამარხი № 21 (ნახ. 103, ტაბ. XIV) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 10/6 და 10/7 კვადრატებში, 0 ხაზიდან 1,91 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს (SO კედელი სქელი ფილაქვისაა), რომელიც გადახურულია დამტვრეული ფილაქვით. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1,18×0,65 მ-ზე, სიღრმე—0,5 მ.

სამარხში მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები უწესრიგადაა მიყრილი: თავის ქალა დევს N კედელთან; აქვეა წინა მხრის ძვლებიც. ბარძაყის თითო-თითო ძვალი აღმოჩნდა SW და NO კედლებთან. სამარხის S ნაწილში აღმოჩნდა ხერხემლის რამდენიმე მალა. მიცვალებულის დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხი დაზიანებული და გაძარცვულია.

ქვაყუთის გარეთ, პირის ღონეზე, მის SO მხარეს აღმოჩნდა კოჭობი (№ 184).

184. კოჭობი — შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეციით. ნაძერწია ხელით.

სამარხი № 22 (ნახ. 104) — აღმოჩნდა IV სექტორის BA ფართობის 1/3 და 1/4 კვადრატებში, 0 ხაზიდან 2,17 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი სქელი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 0,95×0,7 მ-ზე, სიღრმე 0,5 მ.



ნახ. 103.

ნახ. 104

სამარხი დაზიანებულია ფაბრიკის მშენებლობის დროს. მიცვალებულის ჩონჩხი არეულია. ძვლების უმეტესობა აღმოჩნდა სამარხის S ნაწილში, კიდურის ძვლები კი — N ნაწილში. მიცვალებულის დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭლის ნატეხები (№№ 185, 186) და წვრილფეხა საქონლის კოჭი.


185. ქოთანნი — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, შავი შიდაპირითა და ნაცრისფერი კეციტ.

186. კოქობის ნატეხები — მოშავო ზედაპირით, ასეთივე ფერის შიდაპირითა და კეციტ. მხარეზე დაქერწყილია ორი კოპი. ორნამენტი ამოღარულია.

სამარხი № 23 — აღმოჩნდა IV სექტორის BA ფართობის 2/3 კვადრატში, 0 ხაზიდან 2,03 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი სქელი ქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1,28×0,68 მ-ზე, სიღრმე — 0,65 მ.

სამარხი დაზიანებულია. მიცვალებულის დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

სამარხი № 24 (ნახ. 105, ტაბ. XIV) — აღმოჩნდა IV სექტორის BA ფართობის 1/6 კვადრატში, 0 ხაზიდან 1,94 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი სქელი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1,05×0,55 მ-ზე, სიღრმე — 0,45 მ.



ნახ. 105.

ქვაყუთი გათხრილია მშენებლების მიერ.

სამარხში აღმოჩნდა მხოლოდ თიხის ჭურჭლის ყურის ნატეხი¹.

ამავე სამარხს უნდა ეკუთვნოდეს: თიხის ხუთი ჭურჭელი (№№ 187—191), რკინის სატევარი (№ 192), ბრინჯაოს ფიბულა (№ 193) და ბრინჯაოს ოთხი სამაჯური (№ 194).

187. ხელადა — მონაცრისფრო-მოშავო ზედაპირით, შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეციტ. ორნამენტი რელიეფურია.

188. ხელადის ნატეხები — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, შავი შიდაპირითა და მორუხო-მონაცრისფრო კეციტ.

189. ხელადის პირ-გვერდის ნატეხები — ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეციტ. სახელურზე ორნამენტი ჩაძერწილია.

190. ჯამი — შავი ზედაპირით, გარეპირითა და ასეთივე ფერის კეციტ.

191. ჯამი — ვარდისფერი ზედაპირით, მოშავო-მონაცრისფრო გარეპირითა და ყავისფერი კეციტ.

192. რკინის სატევარი — ქედიანი, სატარეზე 11 მანკვლით.

193. ბრინჯაოს ფიბულა — დაქდეული და ამოღარული ორნამენტით.

194. ბრინჯაოს სამაჯურები (4 ცალი).

ს ა მ ა რ ხ ი № 25 — აღმოჩნდა IV სექტორის BA ფართობის 1/5 და 1/6 კვადრატებში, 0 ხაზიდან 2,1 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი თხელი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1,2 × 0,75 მ-ზე, სიღრმე — 0,6 მ.

ქვაყუთი დაზიანებულია ფაბრიკის მშენებლობის დროს. შიგ აღმოჩნდა მხოლოდ თიხის ჭურჭლის ნატეხები (№ 195).

195. თიხის ჭურჭლის ნატეხები — ლეგა-მოშავოდ გამომწვარი.

ს ა მ ა რ ხ ი № 26 (ნახ. 106, ტაბ. XV) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 10/5 და 10/6 კვადრატებში, 0 ხაზიდან 2,12 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი სქელი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1,1 × 0,55 მ-ზე, სიღრმე — 0,55 მ.

ქვაყუთი დაზიანებულია ფაბრიკის მშენებლობის დროს, შიგ აღმოჩნდა მხოლოდ სალესი ქვა (№ 196).

196. რიყის სალესი ქვა ბრინჯაოს რგოლით.

ს ა მ ა რ ხ ი № 27 — აღმოჩნდა IV სექტორის BA ფართობის 1/7 კვადრატში, 0 ხაზიდან 1,85 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი ქვისაგან შედგენილ ქვაყუთს. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 0,65 × 0,6 მ-ზე, სიღრმე — 0,4 მ.

სამარხში აღმოჩნდა მიცვალებულის ლულოვანი ძვლის ფრაგმენტები და თიხის ჭურჭლის ნატეხი (№ 197).

197. თიხის ჭურჭლის პირის ნატეხი — ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეციტ.


ს ა მ ა რ ხ ი № 28 (ნახ. 107) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის

¹ მასლის დამუშავების დროს № 24 სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ყურის ნატეხი მიუღდა 1979 წ. მშენებლობის დროს დაზიანებულ ერთ-ერთი სამარხის თიხის ჭურჭელს. ყოველივე ამის გამო, ჩვენ შესაძლებლად მივიჩნით № 24 სამარხის კომპლექსის აღდგენა.

10/8 და 10/9 კვადრატებში, 0 ხაზიდან 1,52 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი თხელი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურული იყო დამტვრეული ფილაქვით. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: $1,1 \times 0,75$ მ-ზე, სიღრმე — 0,55 მ.



ნახ. 106.



ნახ. 107.

ქვაყუთში მიცვალეხულის ჩონჩხიდან უძრავ მდგომარეობაში უნდა იყოს ბარძაყისა და მენჯის ძვლები. დანარჩენი ძვლები უწესრიგოდაა მიმოხრეული სამარხის მთელ ფართობზე. უძრავ მდგომარეობაში შემორჩენილი ძვლების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალეხული ესვენა მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით, თავით N-კენ.

სამარხის სახურავზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები (№ 198), ქვაყუთში კი — ამავე თიხის ჭურჭლის ერთი ნატეხი და ორი მძივი (№ 199).

სამარხი გაძარცვულია.

198. ქილის ნატეხები — მორუხბო-მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეცით.

199. მძივები (2 ცალი) — მინისებური პასტის.

სამარხი № 29 — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 10/10 კვადრატში, 0 ხაზიდან 1,9 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ქვებით შემოწყობილ ორმოსამარხს. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: $0,95 \times 0,65$ მ-ზე.

სამარხში აღმოჩნდა ზრდადასრულებული ადამიანის ჩონჩხის ფრავმენტები და რკინის სამაჯურის ნატეხები (№ 200). მიცვალეხულის დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხი დაზიანებული და გაძარცვულია.

200. რკინის სამაჯურის ნატეხები.

სამარხი № 30 (ნახ. 108, ტაბ. XV) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 8/8 და 8/9 კვადრატებში, 0 ხაზიდან 0,9 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი თხელი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურული იყო დამტვრეული ფილაქვით. სახურავის SO ნაწილი დაზიანებული და

ნაკლულია. ქვაყუთი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: $0,85 \times 0,55$ მ-ზე, სიღრმე — $0,45$ მ.


სამარხში აღმოჩნდა ადამიანის ფრაგმენტირებული იდაყვის ძვალი და თავის ქალა. მიცვალებულის დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

ინვენტარიდან ქვაყუთში აღმოჩნდა თიხის ერთი ჭურჭელი (№ 201).


სამარხი გაძარცვულია.

201. კოჭობი — შავი ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი ფერის კეცით. ნაძერწია ხელით.

ს ა მ ა რ ხ ი № 31 (ნახ. 109, ტაბ. XV) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 9/6 და 9/5 კვადრატებში, 0 ხაზიდან 2,01 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი სქელი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურულია ორი ფილაქვით. სახურავის S და SO მხარე ნაწილობრივ დაზიანებული და ნაკლულია. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: $1 \times 0,65$ მ-ზე, სიღრმე — $0,5$ მ.



ნახ. 108.



ნახ. 109.

ქვაყუთში აღმოჩნდა მიცვალებულის ძალზე დაზიანებული და არეული ძვლები: თავის ქალა იდო სამარხის N კუთხეში, თიხის ჯამზე, ბარძაყისა და ხერხემლის ძვლები მიხვეტილი იყო SO კუთხესთან. მიცვალებულის დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

ინვენტარიდან აღმოჩნდა თიხის სამი ჭურჭელი (№№ 202—204) და რკინის ლეროს ფრაგმენტი (№ 205).

სამარხი გაძარცვულია.

202. ხელადა — შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეცით. ორნამენტი ამოღარული და ნაპრიალებია.

203. ჯამი — მოშავო-მორუხო ზედაპირით, გარეპირითა და რუხი კეცით. ნაძერწია ხელით.

204. კოქობი — შავი ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეციით.

205. რკინის ღეროს ფრაგმენტი.

ს ა მ ა რ ხ ი № 32 (ნახ. * 110, ტაბ. XV) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 10/7 და 10/8 კვადრატში, აგრეთვე BA ფართობის 1/8 კვადრატშიც, 0 ხაზიდან 1,87 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი სქელი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურულია ორი ფილაქვით. სახურავის შუა ნაწილი დაზიანებული და ნაკლულია. ქვაყუთი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 0,6×0,38 მ-ზე, სიღრმე — 0,3 მ.

ქვაყუთში მიცვალეზულის ჩონჩხიდან აღმოჩნდა მხოლოდ თავის ქალის ფრაგმენტები.


ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა ჯამის ნატეხები (ქვაყუთის კედლის პირის ღონეზე, № 206), თიხის ჭურჭლის ნატეხები (№ 207) და მინის მძივები (№ 208).

206. ჯამი — შავი ზედაპირით, გარეპირითა და ასეთივე ფერის კეციით.


207. თიხის ჭურჭლის ნატეხები — მოშავო-მორუხო ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი კეციით.

208. მინის მძივები (13 ც.).

ს ა მ ა რ ხ ი № 33 (ნახ. * 111, ტაბ. XV) — აღმოჩნდა IV სექტორის AA



ნახ. 110.



ნახ. 111.

ფართობის 10/8 კვადრატში. წარმოადგენს ხუთი ქვისაგან შედგენილ ქვაყუთს (NO მხარეს აკლია კედლის ქვა). სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 0,9×0,5 მ-ზე, სიღრმე — 0,27 მ.

მიცვალეზულის ჩონჩხიდან სამარხში აღმოჩნდა თავის ქალის, იდაყვის, ბარძაყისა და მენჯის ძვლის ფრაგმენტები. დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხი დაზიანებული და გაძარცვულია.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა: რკინის ღეროს ნატეხები (№ 209),

ბრინჯაოს სამაჯური (№ 210), ფირფიტა (№ 211), ნახევარკალი (№ 212) და მძივები (№ 213).

209. რკინის ღეროს ნატეხი.

210. ბრინჯაოს სამაჯური.

211. ბრინჯაოს მომრგვალებული ფირფიტა.

212. ბრინჯაოს ბოლოგახვრეტილი ნახევარკალი.

213. მძივები (17 ც.) — სარდიონის 3 ც., მინის 8 ც. და მინისებური პასტის 6 ც.


სამარხი № 34 (ნახ. 112, ტაბ. XV) — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 9/1 და 9/2 კვადრატში, 0 ხაზიდან 1,63 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 0,63×0,36 მ-ზე, სიღრმე—0,4 მ.

ქვაყუთში მიცვალეხულის ჩონჩხიდან აღმოჩნდა თავის ქალის, ლავიწისა და ნეკნების ძვლების ფრაგმენტები. მიცვალეხულის დაკრძალვის პოზა ვერ დადგინდა. სამარხი გაძარცულია.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ფილა (№ 214) და თიხის ჭურჭლის ნატეხები (№ 215).

214. ფილა — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, გარეპირითა და ნაცრისფერი კეციით.

215. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი — მორუხო-მონაცრისფრო ზედაპირით, შავი შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეციით.



ნახ. 112.



ნახ. 113.

სამარხი № 35 (ნახ. 113, ტაბ. XV) — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 9/2 კვადრატში, 0 ხაზიდან 1,66 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს მცირე ზომის დაზიანებულ ქვაყუთს. შემორჩენილია ქვაყუთის NW და NO კედლები. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი სავარაუდო ზომებია: 0,5×0,3 მ-ზე, სიღრმე — 0,25 მ.

სამარხში აღმოჩნდა მხოლოდ თიხის ერთი ჭურჭლის ნატეხები (№ 216).

216. სასმისი — მონაცრისფრო-მორუხო ზედაპირით, რუხი შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეციით.

სამარხი № 36 (ნახ. 114, ტაბ. XV) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 9/9 კვადრატში, 0 ხაზიდან 1,8 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს დანგრეულ ქვაყუთს. შემორჩენილია ქვაყუთის ორი ქვა.

სამარხში აღმოჩნდა ბავშვის ცუდად დაცული და ნაკლული ძვლები. დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

სამარხში აღმოჩნდა მხოლოდ ერთი თიხის ჭურჭელი (№ 217).

217. ხელადა — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეციტ. შემკულია კონცენტრული და შეეული ამოღარული ხაზებით.

ს ა მ ა რ ხ ი № 37 — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 10/2 და 10/3 კვადრატებში, 0 ხაზიდან 1,39 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ხუთი ქვისაგან შედგენილ ქვაყუთს (ქვაყუთის SO კედლად გამოყენებულია ორი ქვა), რომელიც გადახურულია ორი სქელი ქვით. სახურავი NO მხარეს დაზიანებული და ნაკლულია. ქვაყუთი დამხრობილია NNW-დან SSO-კენ. მისი შიდა ზომებია: 0,93×0,55 მ-ზე, სიღრმე—0,55 მ.

სამარხში თავის ქალა, ქვედა ყბა და ზედა კიდურის ძვლები არეულია. თავდაპირველ მდგომარეობაში შემორჩენილია ქვედა კიდურის ძვლები, რომლის მიხედვითაც მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით.

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩნდა. მიცვალებულის სხივანა ძვალზე შემორჩენილია ბრინჯაოს ეანგის კვალი.

სამარხი გაძარცვულია.

ს ა მ ა რ ხ ი № 38 (ნახ. 115, 116; ტაბ. XVI) — აღმოჩნდა II სექტორის



ნახ. 114.




ნახ. 115.

AA ფართობის 6/5 კვადრატში, 0 ხაზიდან 4,07 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს სქელი ფილაქვეებისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურული იყო ორად გატეხილი ფილაქვეით. სახურავს ზემოთ, მის NW ნაწილში იდო რამდენიმე ჭკა და ხელსაფქვევის ნატეხი.

ქვაყუთი დაზიანდა ფაბრიკის მშენებლობის დროს. დაინგრა მისი SO კედელი და NO კედლის ნაწილი. სამარხი დაშრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 0,1 X 0,65 მ-ზე, სიღრმე — 0,5 მ.

სამარხში აღმოჩნდა ზრდადასრულებული ადამიანის ჩონჩხი დაკრძალული მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით. თავით NW-კენ.



ნახ. 116.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ოთხი ქურჭელი (№№ 218—221), რკინის სატეყარი (№ 222), შუბისპირი (№ 223), ბრინჯაოს ორი სამაჯური (№ 224) და შიშვები (№ 225). აქვე აღმოჩნდა წვრილფეხა ცხოველის კოჭი და ფრინველის ლულოვანი ძვალი (№№ 218—225).

თიხის ქურჭელი № 219 აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან, სამაჯურები (№ 224) — მარჯვენა და მარცხენა მკერდზე. დანარჩენი ინვენტარი, წვრილფეხა საქონლის კოჭი და ფრინველის ლულოვანი ძვალი აღმოჩნდა მიცვალებულის სახისა და გულ-მკერდის წინ.

218. ხელადა — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და მო-
რუხო მქისე კეციტ. ორნამენტი ამოღარულია.

219. ქოთანი — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, შავი შიდაპირითა და
ასეთივე ფერის მქისე კეციტ. ორნამენტი ამოღარულია.

220. ჭამი — მოშავო-მორუხო ზედაპირით, გარეპირითა და რუხი მქი-
სე კეციტ. ნაძერწია ხელით.

221. ტოლჩა — შავი რუხლაქებიანი ზედაპირით, შავი შიდაპირითა და
ასეთივე ფერის მქისე კეციტ. ორნამენტი ამოღარულია.


222. რკინის სატევარი — ქელიანი, ტარზე ცხრა სამანქველ ნახვრეტითა
და ერთი მანქველით.

223. რკინის მასრაგახსნილი შუბისპირი.

224. ბრინჯაოს სამაჯურები (2ც.).

225. მინისებური პასტის მძივები (87 ც.) — ბრტყელი წრიული ფორმის.

ს ა მ ა რ ხ ი № 39 (ნახ. 117, 118; ტაბ. XVII) — აღმოჩნდა IV სექტორის
AB ფართობის 6/5 და 6/6 კვადრატებში, O ხაზიდან 1,03 მ სიმაღლეზე. წარ-
მოადგენს ქვის ფილებით გადახურულ კუთხეებმომრგვალებული მართკუთხე-
ლის ფორმის ორმოსამარხს. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი ზო-
მებია: $1 \times 0,8$ მ-ზე.



ნახ. 117.

სამარხში მიცვალბულის ჩონჩხი დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე მოხ-
რილი კიდურებით, თავით NW-კენ.


ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ერთი კურკელი (№ 226), ბრინ-

ჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (№ 228) და ბრინჯაოს გაზვრეტილი ფირფიტა (№ 227).

226. ქოთანანი — ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და ასეთივე ფერის მქისე კეციით. ნაძერწია ხელით.


227. ბრინჯაოს გაზვრეტილი ფირფიტა.

228. ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი.



ნახ. 118.

სამარხი № 40 (ნახ. 119, ტაბ. XVII.) — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 5/5 კვადრატში, 0 ხაზიდან 1,09 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხს. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი ზომებია: 1,44×1,08 მ-ზე.



ნახ. 119.

სამარხში აღმოჩნდა ორი მიცვალებულის ჩონჩხი. № 1 მიცვალებულის ჩონჩხი მდებარეობს სამარხის S ნაწილში, № 2 კი — მის N-ით. № 1 მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით, თავით — NW-კენ. ჩონჩხის მარჯვენა ქვედა კიდურის ძვალი დაშორებულია მენჯის ძვალს და მის N-ით არის გაწეული. არ ჩანს მიცვალებულის თავის ქალა, აღ-

მოხნდა მხოლოდ ქვედა ყბა. № 2 მიცვალებულის ჩონჩხი დაზიანებულია. დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ქურტყელი (№№ 229, 230), რკინის დანა (№ 231) და სალესი ქვა (№ 232).

ტოლჩა აღმოჩნდა № 1 მიცვალებულის მუცლის არის წინ, კოჭობი—№ 2 მიცვალებულის ზურგს უკან, რკინის სასხლავი დანა და სალესი ქვა — № 2 მიცვალებულის ხერხემალზე.

229. კოჭობი — რუხი-მონაცრისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და ნაცრისფერი კეციტ. ნაძერწია ხელით.

230. ტოლჩა — მორუხო-მოვარდისფრო ზედაპირით, მოშავო-მონაცრისფრო შიდაპირითა და რუხი კეციტ. ნაძერწია ხელით.

231. რკინის მოხრილი დანა — ტარზე ორი მანქვლით.

232. რიყის სალესი ქვა.

ს ა მ ა რ ხ ი № 41 (ნახ. 120, ტაბ. XVII) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 1/7 და 1/6 კვადრატებში. წარმოადგენს ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს. სამარხი გადახურული ყოფილა ფილაქვით, ჩვენამდის მოაღწია მისმა მხოლოდ NW ნაწილმა. ქვაყუთი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1,05×0,69 მ-ზე, სიღრმე — 0,55 მ.

ქვაყუთში მიცვალებულის ჩონჩხიდან შემორჩენილია ქვედა კიდეურის ძვლები. დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ქურტყელი (№№ 233, 234). სამარხი გაძარცვულია.

233. ქოთანა — მორუხო-მონაცრისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი მქისე კეციტ.

234. ჭამი — მორუხო-მონაცრისფრო ზედაპირით, შავი ვარდისფერლაქებიანი გარეპირითა და მოშავო-მონაცრისფრო მქისე კეციტ. ნაძერწია ხელით.

ს ა მ ა რ ხ ი № 42 — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 1/6 კვადრატში. წარმოადგენს ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1,05×0,75 მ-ზე, სიღრმე — 0,35 მ.

ქვაყუთში ჩონჩხი და ინვენტარი არ აღმოჩენილა.

სამარხი დაზიანებულია ფაბრიკის მშენებლობის დროს.

ს ა მ ა რ ხ ი № 43 — აღმოჩნდა IV სექტორი AA ფართობის 1/7 და 1/8 კვადრატებში. წარმოადგენს დაზიანებულ ქვაყუთს. შემორჩენილია ქვაყუთის SW, SO და O კედლების ნაწილი. ქვაყუთის მიახლოებითი ზომებია: 1×0,6 მ-ზე, სიღრმე — 0,45 მ.

სამარხში ჩონჩხი და ინვენტარი არ აღმოჩენილა.

სამარხი დაზიანებულია ფაბრიკის მშენებლობის დროს.

ს ა მ ა რ ხ ი № 44 (ნახ. 121) — აღმოჩნდა IV სექტორი AA ფართობის 1/9 კვადრატში. წარმოადგენს ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1×0,65 მ-ზე, სიღრმე—0,6 მ.

ქვაყუთში აღმოჩნდა მიცვალებულის ქვედა კიდეურის ძვლები და თიხის ქურტყლის ნატეხები (№ 235).


სამარხი დაზიანებულია ფაბრიკის მშენებლობის დროს.

235. სასმისი — შავი ზედაპირით, მოშავო-მორუხო გარეპირითა და შავი კეცით. ნაძერწია ხელით. შევრილი მოტეხილია.


ს ა მ ა რ ხ ი № 45 — აღმოჩნდა II სექტორის AA ფართობის 7/1 კვადრატში. წარმოადგენს მშენებლების მიერ დაზიანებულ ქვაყუთს. შემორჩენილია ქვაყუთის N და W კედლები. N კედლის სიგრძეა — 0,8 მ, W კედლისა კი — 0,5 მ, სიღრმე — 0,4 მ.

სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი და ინვენტარი არ აღმოჩნდა.

ს ა მ ა რ ხ ი № 46 — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 8/1, 8/2, 9/1, 9/ კვადრატებში. წარმოადგენს მშენებლების მიერ დაზიანებულ ქვაყუთს. შემორჩენილია ქვაყუთის NO და NW კედლები და SW კედლის ნაწილი. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი სავარაუდო ზომებია: 1×0,6 მ-ზე, სიღრმე — 0,6 მ.



ნახ. 120.



ნახ. 121.

ქვაყუთში მიცვალებულის ჩონჩხი და ინვენტარი არ აღმოჩნდა.

ს ა მ ა რ ხ ი № 47 — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 6/5 კვადრატში, 0 ხაზიდან 0,6 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ხუთი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს (SO კედლად გამოყენებულია ორი ფილაქვა), რომელიც გადახურული იყო ერთი ფილაქვით.

ქვაყუთი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 0,63×0,45 მ-ზე, სიღრმე — 0,23 მ.

სამარხში აღმოჩნდა მოზარდის ცუდად დაცული ჩონჩხის ძვლები. თავის ძალა აღმოჩნდა SO კედელთან, ზედა კიდურის ძვლები — სამარხის შუა ნაწილში, ქვედა კიდურის ძვლები კი — სამარხის N კედელთან. შემორჩენილი ძვლების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა რკინის სამაჯური (№ 236) და ბრინჯაოს რგოლი (№ 237).

236. რკინის სამაჯურის ფრაგმენტები.

237. ბრინჯაოს რგოლი.

ს ა მ ა რ ხ ი № 48 — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 5/5 კვადრატში. წარმოადგენს გრუნტში ჩაპრილ ორმოსამარხს. სამარხი დაზიანებულია.

მიცვალებულის ჩონჩხს აკლია თავის ქალისა და ხერხემლის ნაწილი. უძრავ მდგომარეობაში შემორჩენილი ძვლების მიხედვით მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით, თავით NW-კენ. მიცვალებულის მარჯვენა მჯაჭვზე აღმოჩნდა რკინის სამაჯური (№ 238), ყელთან კი — მინისებური პასტის მძივები (№ 239).

238. რკინის სამაჯური.

239. მინისებური პასტის მძივები (10 ც.).

ს ა მ ა რ ხ ი № 49 — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 5/5 კვადრატში. წარმოადგენს მშენებლობის დროს დაზიანებულ ქვაყუთს. შემორჩენილია ქვაყუთის მხოლოდ SW კედლის ორი ფილაქვა, რომლის სიგრძე 1,3 მია, სიმაღლე კი — 0,5 მ.

მიცვალებულის ჩონჩხი დაზიანებული და ფრაგმენტირებულია. დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა მხოლოდ თიხის ჭურჭლის ნატეხები (№ 240).

240. ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი — შავი ზედაპირით, შიდაპირითა და მიწაგო-მორუხო მქისე კეცით.

ს ა მ ა რ ხ ი № 50 (ნახ. 122, ტაბ. XVI) — აღმოჩნდა IV სექტორის BB ფართობის 1/2 კვადრატში. წარმოადგენს ქვაყუთს, რომლის სამი კედელი შედგენილია ფილაქვებისაგან, ხოლო მეოთხე, SO კედლად გამოყენებულია № 4 ნაგებობის NW კედელი. ქვაყუთი გადახურულია მოზრდილი ფილაქვით, რომელიც SO და SW მხარეს ნაკლულია. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 0,6 X 0,65 მ-ზე, სიღრმე—0,6 მ.

ქვაყუთში აღმოჩნდა მიცვალებულის დაზიანებული და არეული ჩონჩხი. დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი (№№ 241—242).

241. ქოთანი — მორუხო-მოვარდისფრო ზედაპირით, რუხი შიდაპირითა და ასეთივე ფერის მქისე კეცით.

242. კოჭობი — მოშავო-მორუხო ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი მქისე კეცით. ნაძერწია ხელით.

ს ა მ ა რ ხ ი № 51 (ნახ. 123, ტაბ. XVII) — აღმოჩნდა IV სექტორის CA ფართობის 3/3 კვადრატში, 0 ხაზიდან 0,7 მ სიმაღლეზე (სამარხის იატაკი). წარმოადგენს ადრებრინჯაოს ხანის ორმოს (№ 16) NO კუთხეში ჩაჭრილ ორმოსამარხს. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი სიგრძეა — 1,2 მ.

სამარხში აღმოჩნდა ზრდადასრულებული მიცვალებულის დაზიანებული და არეული ძვლები. დაკრძალვის პოზა ვერ დადგინდა.

სამარხი დაზიანებული და გაძარცვულია.


ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის სამი ჭურჭლის ნატეხები (№№ 243—245), ბრინჯაოს მახათი (№ 246) და სარდიონის მცირე ზომის ბიკონუსური მძივი.

243. სასმისი — შავპირილა ზედაპირით, მორუხო-მონაცრისფრო შიდაპირითა და შავი კეცით. ორნამენტი ამოღარული და ნაპრიალებია.

244. სასმისის პირ-გვერდის ნატეხი — შავი ზედაპირით, შიდაპირითა და მორუხო-მოშავო მქისე კეცით. ორნამენტი ნაპრიალებია.

245. სასმისის პირ-გვერდის ორი ნატეხი — შავი ზედაპირით, რუხი შიდაპირითა და ასეთივე ფერის მქონე კეციტ. ორნამენტი ნაქდევია.

246. ბრინჯაოს ყუნწჩაკეცილი მახათი.



ნახ. 122.

ნახ. 123.

სამარხი № 52 (ნახ. 124) — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 8/2 და 9/2 კვადრატებში, 0 ხაზიდან 0,6 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ქვის ფილებით გადახურულ ქვაყუთს. გადასახურავ ქვის ფილებზე დევს ორი მიცვალებულის არეული და ნაკლული ჩონჩხი. ფილების S ნაწილში აღმოჩნდა მენჯის, ბარძაყისა და ზედა კიდურის ძვლები. მენჯის ძვლის ქვეშ აღმოჩნდა ადამიანის ქვედა ყბის ფრაგმენტები. აქვე უწესრიგოდაა გაბნეული რამდენიმე წვრილი ძვალი.

ფილების SO კუთხეში დევს ადამიანის ფრაგმენტირებული თავის ქალა. ასევე ფრაგმენტირებულია NW კუთხეში აღმოჩენილი ადამიანის № 2 თავის ქალაც. ფილებზე აღმოჩნდა აგრეთვე თიხის ორი ჭურჭლის ნატეხები და მინის მძივები.

ქვაყუთი შედგენილია ოთხი ფილაქვისაგან. დამხრობილია NW-დან SO-კენ, მისი შიდა ზომებია: 0,77×0,6 მ-ზე, სიღრმე — 0,55 მ.

ქვაყუთში აღმოჩნდა ორი ადამიანის არეული და ნაკლული ჩონჩხი. SW კედლის გარეთ აღმოჩნდა მენჯის და ქვედა და ზედა კიდურების ძვლები. მიცვალებულების დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

სამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ხოლო სამარხის SO კედლის გარეთ — რკინის სამაჯური.

სამარხი დაზიანებული და გაძარცვულია.

247. თიხის ჭურჭლის (ხელადა?) ნატეხები — რუხი ზედაპირით, მორუხო-მონაცრისფრო შიდაპირითა და რუხი მქონე კეციტ.

248. თიხის კურკლის ნატეხები — მონაცრისფრო ზედაპირით, მორუხო-მოვარდისფრო შიდაპირითა და ასეთივე ფერის მქონე კეციტ.


249. რკინის სამაჭურის ნატეხი.

250. მინის მძივი (2 ც.).

ს ა მ ა რ ხ ი № 55 (ნახ. 125) — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 5/3 და 9/4 კვადრატებში, 0 ხაზიდან 0,4 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ხუთი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს (SW კედლად გამოყენებულია ორი ფილაქვა), რომელსაც არ ჰქონდა სახურავი. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1,2×0,6 მ-ზე, სიღრმე—0,45 მ.

ქვაყუთში მიცვალებულის ჩონჩხი დაზიანებული და არეულია. შემორჩენილია მენჯის, ბარძაყის, წვილისა და ზედა კიდურის ძვლები.

ქვაყუთის კედლის პირთან, რამდენადმე უფრო დაბლა აღმოჩნდა თიხის ორი კურკლის ნატეხები (№№ 251, 252) და მინისებური პასტის მძივები (№ 253).



ნახ. 124.



ნახ. 125.


სამარხი გაძარცვულია.

251. თიხის კურკლის ნატეხები — შავი ზედაპირით, ნაცრისფერი შიდაპირითა და ასეთივე ფერის მქონე კეციტ.

252. თიხის კურკლის ყელ-გვერდ-ყურის ნატეხი — წითლად შეღებილი ზედაპირით, შიდაპირითა და ვარდისფერი კეციტ.

253. მინისებური პასტის მძივები (2 ც.).

ს ა მ ა რ ხ ი № 56 (ნახ. 126, ტაბ. XVIII) — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 9/3 კვადრატში. წარმოადგენს ხუთი თხელი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს (SW კედელი შედგენილია ორი ფილაქვისაგან), რომელსაც არ ჰქონდა სახურავი. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1,8×0,65 მ-ზე, სიღრმე—0,5 მ.



ნახ. 126.

ქვაყუთში დაკრძალულია ორი მიცვალებული. № 1 მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით. № 2 მიცვალებულის ძვლები უწესრიგოდაა მიწული ქვაყუთის SO კუთხეში. მისი დაკრძალვის პოზა ვერ დადგინდა. როგორც ჩანს, № 1 მიცვალებულის დაკრძალვის დროს დააზიანეს და ქვაყუთის კუთხეში მისწიეს № 2 მიცვალებულის ძვლები.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი (№№ 254, 255), რკინის მოხრილი დანა (№ 256), რკინის რგოლი (№ 261), ბრინჯაოს ძეწკვიანი ბრინჯაოს საკინძი (257), ბრინჯაოს სამი სამაჯური (№№ 258—260) და ვერცხლის რგოლი (№ 262).

254. ქოთანა — მორუხო-მოყავისფრო მოგლუვებული ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი მქისე კეციტ. ჭურჭელი ხელით ნაძერწია.

255. თიხის ჭურჭელი (ქილა?) — მორუხო-მონაცრისფრო მოგლუვებული ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი მქისე კეციტ. ჭურჭელი ხელით ნაძერწია.

256. რკინის მოხრილი დანა — ტარზე აქვს ორი მანქველი.

257. ბრინჯაოს საკინძი ბრინჯაოს ძეწკვით.

258. ბრინჯაოს სამაჯური — დაყენილი ზედაპირით.

259. ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხი — დაკეპნილი ზედაპირით.


260. ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხი — დაკეპნილი ზედაპირით.

261. რკინის რგოლი.

262. ვერცხლის რგოლი — თავგახსნილი.

ს ა მ ა რ ხ ი № 57 (ნახ. 127, ტაბ. XVIII) — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 7/2 კვადრატში, 0 ხაზიდან 0,70 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ექვსი სქელი ქვისაგან შედგენილ ქვაყუთს. სამარხი დამზრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1×0,7 მ-ზე, სიღრმე — 0,55 მ.

ქვაყუთში მიცვალეებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით, თავით NW-კენ.



ნახ. 127.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი (№№ 263, 264), ბრინჯაოს სამაჯური (მარჯვენა მაჯაზე, № 267), ბრინჯაოს ბრტყელი ბეჭედი (მარცხენა ხელის ფალანგზე), რკინის სამაჯურის ნატეხები (№ 266), რკინის ნიეთის ფრაგმენტები (№ 265) და მინის ორი მძივი (№ 268).

263. სამტუჩა ხელადა — რუხი შავლაქებიანი ზედაპირით, მორუხო-მოწითალო შიდაპირითა და ასეთივე ფერის მქისე კეცით.

264. ქვაბქოთანა — მოშავო-მორუხო ზედაპირით, რუხი შიდაპირითა და ასეთივე ფერის კეციით.

265. რკინის ნივთის ფრაგმენტი.


266. რკინის სამაჯურის ნატეხები.

267. ბრინჯაოს სამაჯური.

268. მინის მძივები (2 ც.).

ს ა მ ა რ ხ ი № 58 (ნახ. 128, ტაბ. XVIII) — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 9/1 კვადრატში, 0 ხაზიდან 0,7 მ სიმაღლეზე (იატაკი). წარმოადგენს სამი ფილაქვეთი გადახურულ ორმოსამარხს. ფილაქვეები სამარხის იატაკიდან 0,3 მ სიმაღლეზე აღმოჩნდა. ორმოსამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი ზომებია: 0,8×0,5 მ-ზე.

სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი არეულია. დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.



ნახ. 128.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ერთი ჭურჭელი (№ 269), ბრინჯაოს მახათის ფრაგმენტი (№ 270) და რკინის სამაჯური (№ 271).

269. ქოთანა — რუხი ზედაპირით, შიდაპირითა და მორუხო-მოწითალო მქისე კეციით.

270. ბრინჯაოს მახათის ნატეხი.


271. რკინის სამაჯური.

ს ა მ ა რ ხ ი № 59 (ნახ. 129, 130; ტაბ. XIX) — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 8/1 და 8/2 კვადრატებში. 0 ხაზიდან 0,6 მ სიმაღლეზე. წარმო-

აღგენს ექვსი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურული იყო ოთხი ფილაქვით. ქვაყუთი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომები: 0,95×0,7 მ-ზე, სიღრმე — 0,55 მ.

სამარხში მიცვალბული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით NW-კენ.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის სამი ქურჭელი (№№ 272—274), რკინის მოხრილი დანა (№ 275), რკინის სამაჯური (№ 276) და ბრინჯაოს მძივსაკიდი (№ 277).



ნახ. 129.

272. სამტუჩა ხელადა — რუხი, შველაქებიანი ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი შქისე კეციტ. ხელით ნაძერწია.

273. ქოთანა — მორუხო-მოწითალო ზედაპირით, რუხი შიდაპირითა და ყავისფერი კეციტ. ხელით ნაძერწია.


274. კოკობი — ყავისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და ასეთივე ფერის შქისე კეციტ. ხელით ნაძერწია.

275. რკინის მოხრილი დანა — ტარზე ორი მანჭვლით.

276. რკინის სამაჯური.

277. ბრინჯაოს მძივსაკიდი.

სამარხი № 60 (ნახ. 131, ტაბ. XIX) — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 8/2 და 9/3 კვადრატებში, 0 ხაზიდან 0,5 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ექვსი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურულია ორი ფილაქვით (გადახურვის N და S კუთხეები დაზიანებული და ნაკლულია). ქვა-



ნ.ხ. 130.

ყუთი დამზრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1,15×0,68 მ-ზე, სიღრმე—0,5 მ.

ქვაყუთში აღმოჩნდა ზრდადასრულებული ადამიანის ჩონჩხის ძვლები. თავის ქალა დევს ქვაყუთის NO კედლის შუა ნაწილში, დანარჩენი ძვლები აწევიან ქვაყუთის SO და O კედლებთან. მიცვალებულის დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.


ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები (№ 278), რკინის შუბისპირი (№ 279), რკინის დანა (№ 280), რკინის ლეროს ნატეხი (№ 284), რკინის ორი სამაჯური (№№ 282, 283), სალესი ქვა (№ 281) და მძივები (№ 285).

საეარაულოა, რომ სამარხი გაძარცვულია.

278. თიხის ჭურჭლის ნატეხები — ნაცრისფერი ზედაპირით, შიდაპირითა და ასეთივე ფერის მჭისე კეციტ.

279. რკინის მასრაგახსნილი შუბისპირი.

280. რკინის დანა — ძვლის ტარით და ოთხი მანჭვლით.



ნახ. 131.

281. რიყის ქვის სალესი.

282. რკინის ზურგშენეჭილი სამაჯური.

283. რკინის სამაჯური.

284. რკინის ღეროს ნატეხები.


285. მძივები (16 ცალი) — სარდონის 4 ც. და მინისებური პასტის 12 ც. სამარხი № 61 (ნახ. 132, ტაბ. XIX) — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 9/2 და 9/3 კვადრატებში, 0 ხაზიდან 1,5 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ მცირე ზომის ქვაყუთს, რომელსაც არ ჰქონდა სახურავი. სამარხი დამხრობილია NNW-დან SSO-კენ. მისი შიდა ზომებია: 0,53×0,33 მ-ზე, სიღრმე — 0,33 მ.

ქვაყუთში აღმოჩნდა მცირეწლოვანი ბავშვის ჩონჩხის ფრაგმენტები და კბილი.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი (№№ 286, 287), რკინის ორი სამაჯური (№ 288) და მძივები (№ 289).

286. ქოთანის — მოშავო-მორუხო ზედაპირით, შიდაპირითა და მოშავო-მონაცრისფრო კეციტ. ხელით ნაძერწია.

287. ფინჯანი — მოყავისფრო-მოვარდისფრო ზედაპირითა და ასეთივე ფერის შიდაპირით.



ნახ. 132.

288. რკინის ორი სამაჯურის ნატეხები.

289. მინისებური პასტის მძივები (10 ც.).

სამარხი № 62 (ნახ. 133, ტაბ. XIX) — აღმოჩნდა IV სექტორის AA და AB ფართობების 8/10 და 8/1 კვადრატებში, 0 ხაზიდან 0,35 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურული იყო ფილაქვის ორი ნატეხით.

სამარხში აღმოჩნდა მიცვალებულის ქვედა კიდურები, ქვედა ყბის ორი ფრაგმენტი და ხელის ფალანგები. უძრავად შემორჩენილი ქვედა კიდურების მიხედვით, სავარაუდოა, რომ მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის სამი ჭურჭელი (№№ 290—292), რკინის სამაჯურის ნატეხები (№ 293), ბრინჯაოს რგოლის ნატეხები (№ 294) და მძივები (№ 295).

სამარხი დაზიანებული და გაძარცვულია. დაზიანებულია სახურავი. არ ჩანს მიცვალებულის ყველა ძვალი. ქვედა ყბის ძვალსა და თითის ფალანგას ემჩნევა ბრინჯაოს ყანგის კვალი. თიხის ჭურჭელი დამტვრეული და ნაკლულია.

290. სამტუჩა ხელადა—მორუხო-მოწითალო ზედაპირით, შიდაპირითა და რუხი შქისე კეცით. ხელით ნაძერწია.

291. ჯამი — მორუხო-მონაცრისფრო ზედაპირით, რუხი გარეპირითა და ყავისფერი შქისე კეცით. ხელით ნაძერწია.


292. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი — რუხი-მოწითალო შავლაქებიანი ზედაპირით, რუხი შიდაპირითა და მორუხო-მონაცრისფრო შქისე კეცით.

293. რკინის სამაჯურის ნატეხები.


294. ბრინჯაოს რგოლის ნატეხები.

295. მინისებური პასტის მძივები (3 ც.).

ს ა მ ა რ ხ ი № 63 (ნახ. 134) — აღმოჩნდა IV სექტორის AA ფართობის 10/7 კვადრატში, 0 ხაზიდან 0,4 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურულია დამტვრეული ფილაქვით. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1,1×0,65 მ-ზე, სიღრმე — 0,4 მ.



ნახ. 133.



ნახ. 134.

ქვაყუთში მიცვალეხულის ჩონჩხის ძვლები არეულია. დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა ქოთანი (№ 296), თიხის ქურჭლის ნატეხი (№ 297), წვრილფეხა საქონლის კოჭი და ფრინველის ძვალი.

სამარხი გაძარცვულია.

296. ქოთანი — მოშავო-მორუხო ზედაპირით, მოშავო-მონაცრისფრო შიდაპირითა და ნაცრისფერი მქისე კეცით. ხელით ნაძერწია.

297. ქოთნის პირ-გვერდის ნატეხი — მოშავო-მონაცრისფრო მოგლუფებული ზედაპირით, ლეგა შიდაპირითა და ნაცრისფერი მქისე კეცით.

ს ა მ ა რ ხ ი № 64 — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 10/1 კვადრატში, 0 ხაზიდან 0,4 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს მცირე ზომის, ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელსაც არ ჰქონდა სახურავი.

სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 0,67×0,4 მ-ზე, სიღრმე—0,34 მ.


ქვაყუთში აღმოჩნდა მხოლოდ მიცვალეხულის ლულოვანი ძვალი.

სამარხი გაძარცვულია.

ს ა მ ა რ ხ ი № 65 (ნახ. 135, 136; ტაბ. XX) — აღმოჩნდა IV სექტორის

AB ფართობის 7/2 კვადრატში, 0 ხაზიდან 0,6 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ხუთი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელიც გადახურული იყო რამდენიმე ფილაქვით (სახურავის S და SO ნაწილები დაზიანებულია). სამარხი დამხრობილია SW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 1,23×0,6 მ-ზე, სიღრმე — 0,5 მ.

სამარხში აღმოჩნდა ზრდადასრულებული ადამიანის ცუდად დაცული ჩონჩხი, დაკრძალული მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით NW-კენ.



ნახ. 135.

ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ქურქელი (№№ 298, 299), ბრინჯაოს სამაჯური (მარცხენა მაჯაზე, № 300) და რკინის ორი საკინძი ბრინჯაოს ძეწკვით (№ 301).

სამარხი გაძარცვულია.


298. ქოთანის — მორუხო-მონაცრისფრო ზედაპირით, ლევა-მონაცრისფრო შიდაპირითა და მორუხო-მონაცრისფრო მქისე კეციტ. ხელით ნაძერწია.

299. ქოთანის — მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და ნაცრისფერი მქისე კეციტ. ხელით ნაძერწია.

300. ბრინჯაოს სამაჯური.

301. რკინის ორი საკინძი — ბრინჯაოს ძეწკვით.

სამარხი № 66 — აღმოჩნდა IV სექტორის AB ფართობის 8/1 კვადრატში, 0 ხაზიდან 0,4 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს. ქვაყუთის სახურავი დაზიანებულია. შემორჩენილია მისი ფრაგმენტები. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: 0,9×0,6 მ-ზე სიღრმე—0,4 მ.




ნახ. 136.

ქვაყუთში აღმოჩნდა ადამიანის ორი თავის ქალა და ერთი მიცვალებულის დაზიანებული ჩონჩხის ნაწილები. დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. ინვენტარიდან აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ორი ნატეხი (№ 302).

სამარხი გაძარცვულია.

302. ქოთნის ძირ-გვერდის ნატეხები — მონაცრისფრო-მორუხო მოგლუვებული ზედაპირით, მორუხო-მოყავისფრო შიდაპირითა და ასეთივე ფერის მქისე კეცით. ხელით ნაძერწია.

ს ა მ ა რ ხ ი № 67 (ნახ. 137, ტაბ. XX) — აღმოჩნდა IV სექტორის AA



ნახ. 137.

და AB ფართობების 9/10 და 9/1 კვადრატებში, 0 ხაზიდან 0,5 მ სიმაღლეზე. წარმოადგენს ოთხი ფილაქვისაგან შედგენილ ქვაყუთს, რომელსაც არ ჰქონდა სახურავი. სამარხი დამხრობილია NW-დან SO-კენ. მისი შიდა ზომებია: $0,94 \times 0,51$ მ-ზე, სიღრმე — 0,43 მ.

სამარხში აღმოჩნდა ზრდადასრულებული ადამიანის ნაკლული ქვედა და ზედა კიდეურები (თავის ქალა და სხვა ძვლები სამარხში არ აღმოჩენილა). შემორჩენილი ძვლების მიხედვით მიცვალებული დაკრძალულია მარცხენა გვერდზე მოხრილი კიდეურებით, თავით NW-კენ.


ინვენტარიდან სამარხში აღმოჩნდა თიხის სამი ქურქელი (№№ 303—305). სავარაუდოა, რომ სამარხი გაძარცვულია.

303. ქოთანა — მონაცრისფრო-მოვარდისფრო მოგლუვებული ზედაპირით და მორუხო-მოვარდისფრო შიდაპირით. ხელით ნაძერწია.

304. ქილა — მორუხო-მოვარდისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი მქისე კეცით. ხელით ნაძერწია.

305. ჯამი — ყავისფერი ზედაპირით, მორუხო-მოვარდისფრო გარეპირითა და ყავისფერი კეცით. ხელით ნაძერწია.

